კვირა, 8 ივნისი 1924 წ. მეოთხე წელიწადი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სიმართლის ხმა

№ 29 ყოველკვირეული ჟურნალი № 29

[რ]ედაქცია და კანტორა ტფილისი, ალმასკომი. ოთახი № 52	ფასი 5 კაპ. ბაჯაღლო ოქროთი	[რ]ედაქცია და კანტორა ღია ყოველ დღე { დილის 8—1 საღამოს 3—5 -დე. კვირა-უქმე დღეს 10—3 ს.-დე.

საფრანგეთის ახალი მთავრობა და ს. ს. ს. კავშირი.

საბჭოთა კავშირის მტრების რიგები თანდათან თხელდება...

მას შემდეგ, რაც ამ რიგებს გაშორდა ინგლისი და იცნო საბჭოთა კავშირი იურიდიულად, მთელმა რიგმა სახელმწიფოებისამ აღიარეს საბჭოთა კავშირი აგრეთვე იურიდიულად.

დარჩა ორი დიდი იმპერიალისტური სახელმწიფო: საფრანგეთი და ამერიკა.

ეს ორი სახელმწიფო დღემდე შეურიგებელ პოზიციაზე სდგას.

მაგრამ ერთ მათგანის საბჭოების მტერ მთავრობას, პუანკარე—ომის მთავრობას, უკვე შეუდგა წყალი და დამარცხებულია. მის ადგილს იკავებს რადიკალ-სოციალისტი ერიოს ახალი კაბინეტი. გაზეთებში უკვე გამოქვეყნდა მომავალი კაბინეტის შემადგენლობის პროექტი. ეს კაბინეტი უფრო „მემარცხენეა", ვინემ პუანკარეს მთავრობა იყო.

ჩვენ ყველას გვახსოვს ის საშინელი შეურიგებლობა, რომლითაც პუანკარე იყო გამსჭვალული საბჭოთა კავშირის მიმართ. ის წინააღმდეგი იყო მთელი თავისი არსებით საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობისა და მთელ თავის აშკარა და ფარული საშვალებით ხელს უწყობდა საბჭოთა მთავრობის ჩამოგდებას. ამ მიზნისათვის ვინ არ შემოიჩინა: პოლონეთი, ჩეხო-სლოვაკია, რუმინია და ვინ მოსთვლის კიდევ ვინ. განა რუსეთის შავ გენერლებს ცოტა დახმარება გაუწია?

მაშინაც კი, როცა საბჭოთა კავშირი იცნო იურიდიულად მთელ რიგ სახელმწიფოებმა ინგლისის მეთაურობით და საბჭოთა კავშირის შინაური და საგარეო მდგომარეობა განმტკიცდა ისე, როგორც არასოდეს, მაშინაც კი, ვამბობთ ჩვენ, პუანკარე—ომი მტკიცედ და ურყევად იჯდა შეურიგებლობის ჯორზე და სრულებით არ აპირობდა ტონის შეცვლას. მაგრამ უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში მან საკმაოდ მოიტეხა კისერი. საფრანგეთის ხალხის დიდმა უმრავლესობამ დაიწუნა ძველი მთავრობის პოლიტიკა, როგორც შინაური, ისე საგარეო და თავისი ინტერესების დაცვა დაავალა შედარებით უფრო „მემარცხენე" ხალხს.

ჩვენ არ გვწამს ერიოს და მისი კაბინეტის მემარცხენეობა, ჩვენ არ ვართ დიდი წარმოდგენის საფრანგეთის მომავალს მთავრობაზე, ამიტომ გადაჭრით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ საფრანგეთის საშინაო პოლიტიკაში არ მოხდება რაიმე საგრძნობი ცვლილებები, მაგრამ საგარეო პოლიტიკაში უსათუოდ მოსალოდნელია ზოგიერთი ცვლილებები.

უპირველეს ყოვლისა ერიოს მთავრობა უეჭველად იცნობს საბჭოთა კავშირს იურიდიულად და აღადგენს მასთან ურთიერთობას. სათანადო განცხადება ერიომ უკვე გააკეთა, მან სთქვა": ჩვენ გვსურს ნორმალური ურთიერთობა აღვადგინოთ საბჭოთა კავშირთან".

ესეც კარგი საქმეა.

ამ იურიდიულ ცნობას და მტრული პოლიტიკის შეწყვეტას უთუოდ დიდი მნიშვნელობა ექნება საბჭოთა კავშირისათვის. რა წამს საფრანგეთი იცნობს საბჭოთა კავშირს, იმ წამსვე იცნობენ მას სხვა პატარა სახელმწიფოებიც, რომელნიც საფრანგეთის ფეხის ხმას ყვებოდნენ დღემდე.

დარჩა ამერიკა.

ამერიკას აშკარა მტრული საინტერვენციო პოლიტიკა საბჭოთა ქვეყნების მიმართ არ უწარმოებია, მაგრამ მიუხედავად ამისა ის წინააღმდეგია მისი ცნობის.

განსაკუთრებით წინააღმდეგნი არიან ამერიკის აგრარიები. მათი ინტერესები მოითხოვენ საბჭოთა კავშირის არ ცნობას. მათი სურვილია საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ასპარეზიდან გარიყვა, მისი დასუსტება და დანგრევა. რუსეთი, როგორიც არ უნდა იყოს მისი პოლიტიკური სახე, ეზიზღება ამერიკის აგრარიებს. აქ არის ინტერესთა წინააღმდეგობა. რუსეთის პური მეტოქეა ამერიკის პურისა ევროპის ბაზარზე. ამიტომ ისინი წინააღმდეგნი არიან საბჭოთა კავშირის ცნობის. ამერიკაში არიან ცნობის მომხრენიც, მაგრამ ისინი ჯერ-ჯერობით უმცირესობაში რჩებიან.

საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის შემდეგ ამერიკაც მოინდომებს მის ცნობას. ამაში ჩვენ იქვი არ გვეპარება.

ამრიგად ლენინი ლენ მტკიცდება და ძლიერდება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა.

ეს უდაო ფაქტია.

გამოცდა ჩავაგარეთ, ჩავაგარეგთ შემდეგშიაც.

დასრულდა პარტიის მე-13 ყრილობა.

რა მოგვიტანა მან?

მან დაანახვა ყველას—მტერსაც და მოყვარესაც,—რომ პარტია მთლიანია, სალკლდესავით მაგარია.

არაა ლენინი, მაგრამ არის ლენინიზმი,—რომელიც ხელმძღვანელობს პარტიას აკავშირებს მას.

პარტიამ ჩააბარა სამი სასტიკი გამოცდა.

ჩვენ გამოგვცადეს საგარეო ფრონტზე, რის შემდეგ იძულებულნი შეიქნენ ვეცნეთ ჩვენ დე—იურე.

გამოგვცადეს შინაგან ეკონომიურ ფრონტზე. გამოცდა იყო ძნელი. მაგრამ მაინც დარწმუნდენ, რომ „მაკრატლის“ პირები შეკრულია.

პარტია გამოსცადა მილიონ უპარტიო მუშებმა და გამოუცხადეს მას ნდობა.

ორი ათასი მუშა დაზგიდან ჩაეწერა პარტიაში. ესაა ლენინის მოწოდება.

დღეს ეს მუშაზე ჩვენ გვყავს ათი კომუნისტი. ეს დიდი მიღწევაა.

როცა პარტიის რიგებში დაიბადა საკითხი ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ, მტრები გამხიარულდენ:

—ეხლა მოელება ბოლო კომუნისტების პარტიასო,—ამბობდენ ისინი.

ოთხ ხნის შემდეგ იძულებულნი იყვნენ ეს მხიარული სახე შეეცვალათ დალურმილი ფიზიონომიით.

არ გაუმართლდათ იმედები. მუშათა კლასმა „ნეპის“ საშუალებით შესძლო ეკონომიური კრიზისის აღმოფხვრა და გამარჯვება.

როცა პარტიის რიგებში დაიბადა ოპოზიცია, მხიარული სახე კვლავ დაუბრუნდა საზღვარ გარეთ გახიზნულ თეთრ ემიგრაციას:

—თვითონვე დაინგრევიან,—ფიქრობდენ ისინი და ბარგს კრავდენ ჩქარა რუსეთში დასაბრუნებლათ.

მაგრამ აქაც გაუცრუვდათ იმედები.

—ოპოზიციამ კი არ შეარყია, უფრო გაამაგრა პარტიის რიგები.

ამ ოპოზიციამ დაანახვა ყველას, თუ როგორ მაგარია პარტია, რა სალიკლდესავით მიუდგომელია ის.

და შეკრული ჩემოდნები ისევ გახსნეს თეთრ გვარდიელებმა.

მოკვდა ლენინი—შემქმნელი, ხელმძღვანელი, სულის ჩამდგმელი პარტიის.

მტრებმა ისევ დაუწყეს ჩემოდნებს შეკვრა.

ლენინის შემდეგ აუცილებლად დაინგრევა პარტია და საბჭოთა ხელის უფლებაო,—ფიქრობდენ ისინი.

და ითვლიდენ საათებს რუსეთში წამოსასვლელათ.

აქაც უმტყუნა მათ ბედმა.

მოკვდა ლენინი, მაგრამ ცოცხალია ლენინიზმი.

ეს აშკარად სჩანდა მე-13 ყრილობაზე.

ლენინის ხელი დასტრიალებდა ამ ყრილობას ისე, როგორც ყველა დანარჩენ ყრილობებს.

პარტიის ყველა ყრილობებს ხელმძღვანელობდა ლენინი. მე-12 ყრილობას ის ვერ დაესწრო, მაგრამ მან, მძიმე ავათმყოფმა, შესძლო ფასდაუდებელი დირექტივების მიცემა ყრილობისათვის.

მე-13 ყრილობა გაიხსნა ულენინოთ. ის აღარაა ცოცხლებში, მაგრამ ლენინიზმი მგარად ფესვებ გადგმულია პარტიაში.

ამით აიხსნება ის ერთსულოვნობა, ის მაგარი, ურყევი ფრონტი, მტკიცე პოზიცია,—რაც ახასიათებდა საერთოთ 13-მე ყრილობას.

თავზარდამცემია ეს ერთსულოვნობა მტრებისათვის.

მათ შეუძლიათ სამუდამოთ გამოეთხოვონ თავიანთ ჩემოდნებს. ისინი უნდა დარწმუნდნენ, რომ რუსეთისაკენ წამოსასვლელად მათ არასოდეს არ მოუხდებათ ჩემოდნების შეკვრა.

მუშათა კლასისათვის კი საამაყოა მუშათა პარტიის ასეთი მთლიანობა, სიმტკიცე და მაგარი პოზიცია.

მე-13 ყრილობა დამთავრდა.

დელეგატები უბრუნდებიან თავიანთ გუბერნიებს, მაზრებს, ფაბრიკა-ქარხნებს, სოფლებს.

და ეს მთლიანობა, სიმტკიცე, სიმაგრე პროლეტარულ პოზიციებზე გადაიქცევა ყრილობიდან მასაში, მუშათა კლასის რიგებში, რომელიც ასე მაგარი და მტკიცეა მუშათა კლასის მიერ დაპერილ პოლიტიკურ-ეკონომიურ პოზიციებზე, როგორც დამთავრებული მე-13 ყრილობა.

მტრებს კი ეს „ნობათი“ სამუდამოთ დაუსერავს გულს.

ნაცნობი.

ემიგრაციის ისტორია.

ჩვენ ვათავსებთ დღეს წერილს, რომელიც მიღებულია კონსტანტინოპოლიდან.

ამხ. აგვიწერს იმ დაცემას და გარხწნას, რომელსაც დღეს განიცდის ჩვენი ემიგრაცია, რომელიც საღვარ გარეთ არის მოკალათებული.

უკვე სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან ერთად ამ ვაჟბატონებმა, გაიტაცეს რა საქართველოს მშრომელ ხალხის ქონება, გადაიბარგენ საზღვარ გარეთ და დაიწყეს უსაშინელესი კომპანია საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ.

ისინი დღიდან დღეზე მოელოდენ აქ საბჭოთა სისტემის დაცემას, ავრცელებდენ ჩვენზე საზიზღარ ჭორებს და ინსინუაციების ქსელში ხლართავდენ ევროპის მუშათა კლასს და მშრომელ მასას

მაგრამ დრო მიდიოდა, საბჭოთა ხელისუფლება არ დაეცა, პირიქით გამოიჩინა თვისება გამაგრებისა და გაძლიერების, ხოლო ემიგრანტებს ფულები შემოეხარჯათ.

ერთ ხანს მათ საზღვარ გარეთ ენდობოდენ.

მათი ტყუილების სჯეროდათ ზოგიერთებს.

გამოფხიზლებულმა მასამ ემიგრაციაც ამ მტერთა ბანაკში მოაყოლა.

ემიგრაციის საქმე გაფუჭდა, ამ ფაქტის შემდეგ მათი მდგომარეობა საგრძნობლათ შეირყა. უკვე დაეკარგა იმედი საზღვარ გარეთელ კონტრრევოლიუციას საქართველოში და ს. ს. რ. კავშირში რევოლიუციის დამარცხების, ევროპამაც ბრძოლას მშვიდობიანი მოლაპარაკება ამჯობინა—ახლა სულ წახდა ემიგრანტების საქმე—

თუ დღემდის ნასუფრალით მაინც იკვებებოდენ, თუ დღემდის ლუკმა პურს მაინც ავათ თუ კარგათ შოულობდენ, დღეს ველარც ის იშოვეს, რადგან მათი ტყუილების უკვე აღარავის სჯერა.

მაგრამ არსებობა ხომ საჭიროა,

რა ქნან?

რა აკეთონ?

ისევ ერთი გზაა—

„იბრძოლონ არსებობისათვის“.

და აი ემიგრაციამ დაიწყო ბრძოლა. ზოგმა სამეკიტნო გახსნა, ზოგმა სპეკულაციას მიჰყო ხელი. ზოგმა კიდევ ვერც ის და ვერც ის ვერ მოახერხა და მიჰყო ხელი ძარცვაგლეჯას.

ემიგრაცია იყო მოწადინებული განადგურებულიყო საბჭოთა წყობილება, მაგრამ ეს არ მოხდა.

და უკანასკნელი წლის განმავლობაში ჩვენი ემიგრანტების მდგომარეობა (უმთავრესათ ეკონომიური) შეირყა, მოხდა ეს იმის გამო, რომ საბჭოთა საქართველოში არაჩვეულებრივი ამბები დატრიალდა.

ემიგრანტებს იმედი ჰქონდათ, რომ საქართველოს მშრომელი მასა ჩამოაგდებდა „ეკსპლოატატორებს", გაანადგურებდა საჭოთა წყობილებას, ყოველ შემთხვევაში თუ ვერ გაანადგურებდა, იბრძოლებდა მაინც მის წინააღმდეგ, მაგრამ მოხდა რაღაც არა ჩვეულებრივი მოვლენა.

საქართველოს მშრომელმა მასამ იბრუნა პირი ამ იმედების მატარებელთაგან და საბჭოებს ამოუდგა მხარში.

ემიგრაციის იმედები დაიმსხვრა. საქართველოში მას გამოეცალა გზა.

მშრომელმა ხალხმა მას ზურგი შეაქცია, უკუაგდო ის გზა, რომელთაც მოდიოდა და დღესაც მიდის ემიგრაცია.

ამხ. მიერ მოწერილიდან სჩანს, თუ სად მივიდა საქართველოს ემიგრაცია, რანაირათ დაეცა ის.

ჩვენ ურჩევთ მკითხველებს, გულ დასმით გადაიკითხონ ის წერილი.

განსაკუთრებით იმათ ურჩევთ, ვისაც ჯერ კიდევ შერჩენია ამ ხალხის იმედი.

ნახეთ, ნუ თუ ასეთი ხალხის იმედით უნდა „იცხოვროთ"?

ნარიმან.

ქართველ ემიგრანტების მოღვაწეობა სტამბოლში.

წერილი კონსტანტინოპოლიდან*).

„...აქ მინდა პატარა ცნობა მოგცეთ. ეს ცნობა შეეხება ჩვენებური ნაც. დემოკრატების გათახსირებას და გახრწნას. რამდენიმე ხნის წინეთ კნოსტანტინეპოლში მოხდა ასეთი ამბავი: შუაგულ ქალაქში—პერაზე (უმთავრესი ქუჩაა) შუადღეზე აქ ცნობილ ქალს—გვარად ბერგონიე – რომელსაც უწოდებენ მეტ სახელად: королева брилиантов თავს დაესხა ვილაც ბოროტ-გამზრახველი და ბრილიანტის საყურეები ჩამოგლიჯა ყურებზე. თავდამსხმელმა ასტეხა სროლა და გაიქცა.

ქალს ახლდა ნორვეგიის წამომდგენელობის მდივანი და პოლონელი ოფიცერი. უკანასკნელი დაედევნა ფეხ-დაფეხ გაქცეულს და ამით მისცა პოლიციას საშუალება მის შესაპყრობად. შეპყრობილი აღმოჩნდა ქართველი პატარაია.

ეს პატარაია არის ერთერთი იმ ჯგუფიდან, რომელმაც გაძარცვა მენშევიკების დროს შავ ზღვაზე გემი და ამ გემში მყოფი ამერიკელ კომისარის გასკელის ცოლი, რომელსაც დიდი ძალი ბრილიანტები მიჰქოდა საქართველოდან საზღვარ გარეთ: დამცემთა ჯგუფი გაძარცვის შემდეგ გაიყო ორად: ერთი ნაწილი გამოვიდა ბათუმთან და აქ იქმნა შეპყრობილი (შემდეგ მენშევიკების სამსჯავრომ ისინი გაამართლა, მათ ხელმძღვანელობდა ცნობილი მანწკავა). მეორე კი გაიქცა ოსმალეთში, იქ იქნა აგრეთვე შეპყრობილი და საოკუპაციო მთავრობის მიერ (კონსტანტინოპოლში) გასამართლებული. ეს ნაწილი სასჯელს იხდიდა საფრანგეთში და აი პატარაია ორი წლის ციხის შემდეგ ჩამოსულა სტამბოლში და ქართველ ემიგრანტების (მენშევიკების და ნაციონალ-დემოკრატების) თავშესაფარში მოთავსებულა.

გაძარცულ ქალს ერთი საყურე ჩამოხეულ ყურზე შერჩა. მეორე კი გაიტაცა პატარაიამ. რამდენიმე ხნის შემდეგ სტამბოლის პოლიციამ აღმოაჩინა ეს ძვირფასი საყურე. ციხეში პატარაიას მიუხედავათ ყოველგვარი ზომებისა (ცემა, საფაღარათო და სხვა), ბრილიანტები ვერ აღმოაჩინეს, როგორც შემდეგ გამოირკვა პატარ იას მიუბამს ძაფზე საყურე, ძაფის მეორე ბოლო კბილის ძირზე გამოუბამს და ისე გადაუყლაპავს, რასაკვირველია საფაღარათო უძლური აღმოჩნდა ასეთი „ტეხნიკის" წინაშე.

როგორც ზევით ვსთქვი ბრილიანტი აღმოაჩინა პოლიციამ ერთ „ბრილიანტჩიკის" მაღაზიაში Grand Bazar-ში. ვაჭარმა განაცხადა, რომ მან იგი იყიდა ერთი სომხისაგან (გალატაში) აღმოაჩინეს ეს სომეხიც, რომელმაც განაცხადა, რომ ბრილიანტი მანაც სხვისაგან იყიდა (მგონი 5 ლირათ) და ეს სხვა აღმოჩნდა შალვა ქარუმიძე. შალვა ქარუმიძე შეიპყრეს და ჩაგდეს ციხეში, ამას წინეთ ე. ი. რამოდენიმე თვის შემდეგ—იგი თავდებობით გამოშვებულ იქნა. აქაური ნაციონალ-დემოკრატები და მენშევიკები, რასაკვირველია, სცდილობენ, რომ ეს საქმის დაწვრილებითი გარემოება, რაც საზიზღარი ფაქტია, რამენაირად დაფარონ, მაგრამ ამათთ: მთელმა ქალაქმა იცის შეეხება შალვა ქარუმიძის პოლიტიკურ ფიზონომიას და მის როლს, ამის შესახებ გეცოდინება შენც, ეს ლიდერია ნაციონ. დემოკრატების, ცნობილი იყო მთიელთა შორის (ხევსურეთში).

*) ნაწყვეტი კერძო წერილიდან, რომელიც კონსტანტინოპოლიდან მიიღო ერთმა ამხანაგმა. **რედ.**



ძველი გვარდია

ძველი გვარდიის რიგები თანდათან თხელდება. აღარ გვყავს ლენინი... ამ დღეებში მიწას მივაბარეთ კიდევ ორი ძველი მებრძოლი: ამხ. ლუტოვინოვი და ნოგინი. პირველი იყო მაღაროს მუშა, მეორე—მკსოველი.

ლენინი იმსხვერპლა თავდადებულმა, მოუსვენარმა მუშაობამ.

საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეს მან შეალია უკანასკნელი თავისი ძალღონე... ვერ გაუძლო ორგანიზმმა ამ ჯოჯოხეთურ მუშაობას და უღალატა რევოლიუციის ტიტანს შუა გზაზე.

ამ დაუცხრომელმა მუშაობამ ისე დაუქმა ნერვები ამხ. ლუტოვინოვს, რომ ის თვითმკვლელობამდე მივიდა...

უღალატა ჯანმრთელობამ ამხ. ნოგინსაც, დაეცა მუშაობის პროცესში.

ძველი გვარდია დატვირთულია დღეს აუარებელი მუშაობით.

ძველი გვარდიას ათეული წლების განმავლობაში რევოლიუციამდე არ ქონია არავითარი დასვენება.

ციხე, კატორღა, იატაკ ქვეშ: არალეგალური მუშაობა, ბნელი საკანი, ციეი ციმბირი,—აი სად მიდიოდა წლები, სად დნებოდა ჯანი.

რევოლიუციის საქმე არ აძლევდა მათ დასვენების უფლებას.

რევოლიუციის შემდეგ ეს მუშაობა გაორკეცდა. სამოქალაქო ომის ფრონტები, აღმშენებლობითი მუშაობა, განმტკიცება საბჭოთა ხელისუფლების,—ეს მუშაობა მოითხოვდა დიდ ენერგიას. და ამ ენერგიის მიცემა შეეძლო მხოლოთ გვარდიას, რომელიც თავის ირგვლივ იკრებდა ახალ ძალებს და ანთებდა მათში რევოლიუციის ცეცხლს.

ამ დაუცხრომელ მუშაობის პროცესში, რომელსაც ათეული წლების ისტორია აქვს, მოკვდა ორგანიზმი.

დღეს ბევრი ჩვენი ძველი ამხანაგი ავადმყოფობს.

მაგრამ მუშაობას მაინც განაგრძობს ძველი ტემპით. ეს დაუშვებელია, საჭიროა ეს საკითხი დაისვას ფართედ.

ჩვენ არ გვაქვს არავითარი უფლება დავუშვათ ამ ძველი გვარდიის ენერგიის ასე ნაირად ხარჯვა, ჩვენ არ ვართ ძალებით ისე მდიდარი, რომ ეს ფუფუნება მივიღოთ.

ძველი ძალების ასე ფლანგვა კი არის დიდი ფუფუნება, რომლის უფლება არ გვაქვს.

ძველ გვარდიას ესაჭიროება დასვენება, ესაჭიროება მოვლა.

ეს საქმე უნდა იკისროს მთელმა სახელმწიფომ.

ჩვენი ამხანაგები იმდენად არიან ჩაფლულნი ამ მუდმივ ბრძოლაში, რომ უმაღლეს ორგანოების დადგენილებას—შაბათს 12 საათიდან ორშაბათამდის 11 საათამდე ყოველივე კრების აღკრძალვის შესახებ ზაფხულის განმავლობაში—ფაქტიურად არავინ არ ასრულებს.

ასე თუ გაგრძელდა, ერთი ორი წლის განმავლობაში ჩვენ სავსებით გავაჩანაგებთ ჩვენს ძალებს.

შეუძლია განა ჩვენს რევოლიუციას შეელიოს ამ ძველ ძალებს?

ამიტომ საჭიროა მეტი ენერგიული ზომების მიღება, რომ ძველი გვარდია არ გაჩანაგდეს, რომ ეს ძალები შევინარჩუნოთ ჩვენი რევოლიუციისათვის.

ა. რუხაძე.

ჩინეთი და ს. ს. რ. კავშირი.

დეპეშები გვატყობინებენ, რომ ჩინეთსა და ს. ს. რ. კავშირს შორის სავაჭრო ხელშეკრულება როგორც იქნა დაიდო და ორთავე მხარემ ხელი მოაწერა.

ამ რიგათ დამთავრდა საკმაოდ დიდ დროის მანძილზე გაჭიანურებული ჩვენი და ჩინეთის მოლაპარაკება, როგორც სჩანს ორთავე მხარის სასარგებლოთ.

უკვე საკმაოთ დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენსა და ჩინეთს შორის მოლაპარაკება დაიწყო, მაგრამ დღემდის არ მოხერხდა ამ ხელშეკრულების დადება, და არ მოხერხდა არა იმიტომ თითქოს ჩინეთს რაიმე ჰქონდა საწინააღმდეგო, პირიქით, ის მზად იყო ჩვენთან ურთიერთობის განახლებაზე დიდის სიამოვნებით მოეწერა ხელი, მაგრამ ჩვენსა და ჩინეთს შორის ნორმალურ ურთიერთობის აღდგენას წინააღმდეგობას უწევდა დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიული სახელმწიფოები და უმთავრესათ კი ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების „დემოკრატია“ დიდი შრომით მიღწეულ ხელშეკრულობაზე ხელის მოწერა, ერთხელ შეუძლებელი შეიქნა ჩინეთისათვის, ვინაიდგან „მფარველებმა“ სასტიკი პროტესტი განაცხადეს ამის წინააღმდეგ და უძლური ჩინეთი იძულებული იყო მოეხარა სუსტი ქედი. „მფარველი დემოკრატიის“ მრისხავ ხმა გადაეღობა ჩვენსა და ჩინეთს შუა მეგობრობის და მეზობლობის აღდგენის სურვილს.

რაშია საქმე?

რათ უწევს ასეთ მზრუნველობას „დემოკრატია“ ჩინეთს.

საქმე იმაშია, რომ ჩინეთი დღეს ფაქტიურად წარმოადგენს ევროპისა და ამერიკის მონამ-მორჩილ საკრეკ ცხვარს.

თანამედროვე ჩინეთი ვებერთელა საექსპლოატაციო არეა, რომელზედაც დაუსჯელად ბატონობს დასავლეთ ევროპის და ჩრდილო ამერიკის შტატების კაპიტალი.

ჩინეთი იტანჯება, გმინავს, მათი „მფარველობის“ ქვეშ.

ჩინეთის უკანასკნელი სისხლის წვეთები იწურება ამ ყაჩაღების მიერ.

რა თქმა უნდა ასეთ პირობებში მყოფ ჩინეთს ძალიან გაუძნელდება დამოუკიდებელ პოლიტიკის წარმოება.

ამის ნებას მას ხაზეინები არ მისცემენ, ერთხელ უკვე არც მისცეს, მით უმეტეს არ მისცემენ ისინი ჩინეთს საშვალებას ჩვენთან, წითელ რესპუბლიკებთან დაახლოვებისას.

მათ კარგათ იციან, რომ წითლები მტრები არიან მონობის.

მათ ისიც იციან, რომ ჩინები იბრძოლებენ თავისუფლებისათვის, თუ შესაფერისი დრო იხელთეს ამ ბრძოლაში კი მათ საუკეთესო მეგობარი და ამხანაგი ეყოლება ს. ს. რ. კავშირის სახით, ჩინეთი ხომ მონაა დღეს, რომელ მონაა, რომ არ მიილტვის თავისუფლებისაკენ?

ჩინეთიც მიილტვის, სურს განთავისუფლდეს უსაზღვრო ექსპლოატაციის უღლიდან, სურს მოიცილოს სამარცხვინო მონობის უღელი.

ამ მიზნით მან შეეცადა გამოეწოდებია ჩვენთვის ხელი.

ჩვენთან ეკონომიური თანამშრომლობა, ჩვენთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენა აამაღლებდა და წინ წასწევდა ჩინეთის საქმეს.

ეს კარგათ იცის ჩინეთის ეხლანდელ მეთაურებმა.

მაგრამ მფარველები, აპეკუნებიც გრძნობენ, რომ ჩვენთან დაახლოვებით ზურგ მომაგრებული ჩინეთი აღარ დარჩებოდა მათ სათარეშო მოედნათ, შესძლებდა გაენთავისუფლებინა თავი მათ „მფარველობისაგან“ და ამიტომ ხელს უშლიდა მას ჩვენთან ხელშეკრულების დადებაში.

მათი გავლენა საკმაოთ დიდი და საგრძნობია ჩინეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე.

როგორც ვსთქვით ერთხელ უკვე სავსებით გამზადებული შეთანხმება დარჩა ხელ მოუწერელი, მხოლოდ იმიტომ, რომ „დამოკიდებულ“ ჩინეთს „მფარველმა“ ფეხები დაუბაკუნა და ყურები აუწია!—არ გაბედო, არ მოაწერო ხელი, თორემ დაგსჯით.—

მაგრამ მიუხედავათ ამისა, დღეს, მიღებულ ცნობების თანახმათ, ხელშეკრულება მაინც დაიდო. იმდენათ ძლიერია ჩინეთის ლტოლვა თავისუფლებისაკენ, იმდენათ სწორათ აქვთ ჩინეთის დღევანდელ მეთაურთ შეგნებული ის, რომ ყველა ჩაგრულთა საუკეთესო მეგობარი ჩვენი კავშირია, რომ მუქარამ და ყურების აწევამ ვერ შეაჩერა ჩვენთან ურთიერთობის აღდგენის სურვილი.

აღსანიშნავია აქ ერთი ფაქტი. ეს დამოუკიდებელი „ჩინეთი მიღებული იყო ფრიად დიდ საიდუმლოების ქვეშ შეენახა ჩვენს და მათ შორის წარმოებულ მოლაპარაკება, ნორმალურ ურთიერთობის შესახებ მას შემდეგ, რაც ერთხელ ასეთი უკვე ჩაიფუშა მფარველთა წყალობით.

მოლაპარაკება და ხელის მოწერაც დიდი საიდუმლოებით იყო მოცული და კერძო ბინაზე სწარმოებდა.

მხოლოდ მას შემდეგ, როცა ორივე მხარემ უკვე მოაწერა ხელი დადებულ ხელშეკრულებას, ის გამოქვეყნდა.

ეს ფაქტი ნათლად ამტკიცებს იმას, თუ რანაირ დამოკიდებულებაშია ჩინეთი და ევროპა ამერიკის კაპიტალი.

ჩვენსა და ჩინეთ შორის დადებული ხელშეკრულება იმპერიალისტების ერთი დიდი დამარცხებაა კიდევ.

წითელმა დიპლომატიამ ერთხელ კიდევ მიაყენა სასტიკი ჭრილობა ევროპის და ამერიკის შავ ფრაკიან დიპლომატებს. ჩინეთისა და ჩვენს შორის დადებულ ხელშეკრულებას ამის გარდა კიდევ ორივე მხრისათვის დიდი ეკონომიური მნიშვნელობაცა აქვს. ამ ხელ შეკრულების დადებით შეირღვა კედელი აღმოსავლეთში და მშრომელთა რესპუბლიკის გავლენა კიდევ გაიზარდა. ამ მხრივაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩინეთ ს. ს. რ. კავშირის ხელშეკრულებას.

კლდე.

ნ. ჟორდანიას წერილის საპასუხოდ.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის სალიკვიდაციო ყრილობამ გასულ წლის აგვისტოში გაუგზავნა მიმართვა პარტიის ბელადს და დამაარსებელ ნოე ჟორდანიას.

ამ მიმართვაში ჩვენ, ძველი მუშები, სოციალ-დემოკრატიულ პარტიის რიგებში ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით და წინამძღოლობით მებრძოლნი ათეულ წლების განმავლობაში, ვწყვეტდით რა კავშირს ძველ ოპორტიუნისტულ გზასთან, მოუწოდებდით საზღვარ გარეთ მყოფ ჩვენს წინამძღოლს დაბრუნებულიყო და შემდეგშიაც ევლო ჩვენთან ერთად, და დამდგარიყო ახალ გზაზე პროლეტარიატის დიქტატურისა.

ჩვენ, ძველი მუშები, რომელთაც კარგათ იცნობს ნოე ჟორდანია, არა ვკარგავდით იმედს და გვჯეროდა, რომ ნოე დაგვიბრუნდებოდა ჩვენ, მაგრამ ჩვენი იმედი არ გამართლდა.

ჟორდანიას წერილიდან სჩანს, რომ იგი მუშათა კლასისათვის დაკარგულია. ნოე ჟორდანიას პასუხი არ არის პასუხი ბელადისა, მასწავლებლისა.

ჩვენ დაბრუნების იმედზე ხელი აგვიღია 43-ის ღირსეულ პასუხს უერთდებით და ფიცს ვდებთ ახალ გზაზე ან გავიმარჯვებთ ან დავიხოცებით.

1. ნუშუბაშვილი
2. ვ. სლიმანოვ
3. გოჩიტაშვილი
4. აბაზოვი
5. სარიბეგოვ
6. ჯავახიშვილი
7. აბრამაშვილი
8. ა. მჭედლიშვილი
9. იოსება ქობელაშვილი
10. ნიკოლაი მჭედლიშვილი
11. სეხნიაშვილი
12. გოჩიტაშვილი პ.
13. მეხაშიშვილი
14. მანთაშოვი
15. მჭედლიშვილი შაქრო
16. ა. საინმანდევ
17. რუსიშვილი
18. ბუდასაშვილი
19. ჯორჯაძე
20. არაქელოვი
21. ჩულანოვი
22. ოსიყმაშვილი
23. ციბახაშვილი
24. ათოიანც
25. ლალაშვილი
26. ციბახაშვილი ნიკალაი
27. კურდაშვილი
28. ნოზაძე
39. რაზმაძე ივანე
30. რაზმაძე ვანო
31. ნაცვლიშვილი.
32. კირახაშვილი

სასაკლაო. 1924 წ. 1 ივნისი.

ნოე ჟორდანიას წერილის გამო.

მე გულდასმით წავიკითხე ნ. ჟორდანიას წერილი „ჩემი პასუხი“ და ჩვენი თბილისელი ამხ. მუშების პასუხიც. მეც, როგორც მუშამ, მინდა გამოვეხმაურო ამ წერილს. უნდა წინ და წინ ვსთქვა, რომ ნოეს წერილის წაკითხვის შემდეგ დიდათ გაკვირვებული დავრჩი, იმიტომ, რომ ის დიდი ნოე, რომელსაც ჩვენ მუშები ვიცნობდით წინეთ, აქ მე ვერ დავინახე, ამ წერილში არ სჩანდა.

ეს წერილი უფრო ჩქარა მოგვაგონებს სოფლის პროპაგანდისტის დაწერილს. იმდენათ უსაბუთო, უმასალო არის ის. მას არ უნდა ბოლშევიზმის გამარჯვება ჩვენც თავისკენ გვეწიწუნა, სწერს: „მენშევიზმი II ინტერნაციონალის სახით დიდი შეტევებს აწარმოებს კაპიტალზეო.

ჰოი საკვირველებავ! აი ახლა მენშევიზმის შეტევები კაპიტალზე ეს არ ვიცით, მხოლოთ ჩვენ ვიცით, რომ რამზეი მაკდონალდი და ძმანნი მათნი მეფეთა და კაპიტალისტების ბატონობის აშკარა და მცველი არიან. ჩვენ ისიც ვიცით, რომ **მენშევიზმი და ბურჟუაზია ორივე ერთათ ერთ წერტილში სცემენ პროლეტარიატს.**

და პროლეტარიატიც კომპარტიის გარშემო ირაზმება. გერმანიის პარლამენტარულ არჩევნებში ბრწყინვალეთ გაიმარჯვა კომუნისტურმა პარტიამ, ნაცვლათ 15 დეპუტატისა გაიყვანა 61. ს. დემოკრატებმა კი დაკარგეს 86 ადგილი, იგივეა საფრანგეთში. იქ გაიყვანეს 27 დეპუტატი კომუნისტებმა. ეს დიდი გამარჯვებაა კომუნისტური პარტიის. ასევ ხდება სხვა ქვეყნებშიც. ნუ თუ დავიჯეროთ, რომ ნ. ჟორდანიამ ეს არ იცოდეს. იცის, მაგრამ არ უნდა დაიჯეროს, რადგან მას არ უნდა კომუნისტების გამარჯვება. ჩვენ ღრმათ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ შორს არ არის ის დრო, როდესაც მთლიანათ დაირღვევა და დაიმსხვრევა II ინტერნაციონალი. თანდათანობით მოხდება მუშათა კლასის სრული გაერთიანება და ის საერთო ძალით დაამსხვრევს კაპიტალისტურ სამყაროს. მაშინ რაღას იტყვის ნოე ჟორდანია?

მ. გალდავაძე

თბილისის პრესა ნოე ჟორდანიას პასუხის შესახებ.

1. რუსული პრესა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ნოე ჟორდანიას პასუხს გამოეხმაურა თბილისის პრესა. თითქმის ყველა გაზეთებმა უძღვნა მოწინავე წერილები და ნოე ჟორდანიას „წერილის შესახებ თავისი აზრი გამოთქვა. საერთო შთაბეჭდილება ასეთია:

ის შერჩა ძველ გზას, რომელსაც პროლეტარიატი უფსკრულისაკენ მიჰყავს.

ყოფილ მენშევიკების საპასუხოთ ნოე ჟორდანიას მიერ გამოგზავნილი წერილის შემდეგ, სამუდამოთ დაკარგულათ უნდა ჩავთვალოთ მისი ავტორი მუშათა კლასისათვის.

მოგვყავს ზოგიერთ გაზეთებიდან ამონაწერები.

„ზარია ვოსტოკა“ სწერს:

„თუ ვისმეს კიდევ ჰქონდა იმის იმედი, რომ ჟორდანია კიდევ მობრუნდებოდა პროლეტარიატთან, ეხლა მისი ბროშიურების „ბოლშევიზმი“ და „ბრძოლის საკითხები“ და აგრეთვე უკანასკნელი პასუხის შემდეგ ყოფ. მენშევიკების მიმართვაზე, აშკარაა, რომ ნოე ჟორდანია საბოლოოთ დაკარგულია მუშათა კლასისათვის“.

მოჰყავს რა სტატისტიკური ცნობები ნოე ჟორდანიას პასუხში წამოყენებული ზოგიერთ დებულებათა გასაბათილებლათ, გაზეთი განაგრძობს;

ზოგიერთები კითხულობენ: — როგორ, ადამიანი, რომელიც ათეულ წლების განმავლობაში იბრძოდა მუშათა კლასის ინტერესებისათვის, ეხლა გახდა მისი მტერი-ო?

დიახ.

მილიერანიც ხომ ოდესღაც სოციალის-

ტი იყო და ისიც უკიდურესი მემარცხენე.

მაგრამ როდესაც მუშების დახმარებით პარლამენტში ამოჰყო თავი, სწრაფად გადაიბარგა ბურჟუაზიის ბანაკში.

ფაშისტების მეთაური მუსოლინიც, ხომ სოციალისტი იყო ერთ დროს.

და არ არის გასაკვირი, თუ ჟორდანიაც, ვანდერველდეც, ებერტიც და სხვებიც დაეშვენ მოლიპულ გზით და პროლეტარიატის მტერთა ბანაკში ამოჰყვეს თავი, ბურჟუაზიის გვერდით.

არ არის სასიამოვნო ეს, ხელს უშლის რევოლიუციას, აგვიანებს მის შეტევითი წინსვლას, მაგრამ ისტორიის ბორბალს უკან მაინც ვერავინ დააბრუნებს.

მუშათა მოძრაობის რელსებიდგან გადავარდნილი, ისტორიის ბორბალის მძლავრი გაქანების ქვეშ მოჰყვებიან და დაიმსხვრევიან"-ო დასძენს დაბოლოს გაზეთი.

„რაბოჩაია პრავდა" წერილში: „უსუსური პასუხი"-ს სათაურით ეხება ნოე ჟორდანიას პასუხს.

გაზეთი სწერს:

ნოე ჟორდანიას პასუხი, უსათუოდ არის დიდი ისტორიული დოკუმენტი, რომელიც ახასიათებს სრულ დაშლას და გაკოტრებას იმ პარტიის ზედა ფენების, რომელსაც სახელად ეწოდებოდა საქართველოს სოციალ-დემოკრატია",

ნოე ჟორდანიას პასუხი,—ამბობს გაზეთი—ნათლად გვისურათებს, სრულ-დაცემას და გაკოტრებას სოციალ დემოკრატიისა საერთოდ, იმ ნაწილის კერძოთ, რომელიც დღეს პარიზში არის მოკალათებული ნოე ჟორდანიას მეთაურობით.

და მართლაც, წაიკითხეთ გულდასმით ეს უსუსური პასუხი,—განაგრძობს გაზეთი:—რას სწერს ნოე ჟორდანია იმ 12.000 მუშას და გლეხს, რომელნიც წყევლა კრულვით მოსცილდენ მენშევიკურ პარტიას, რომლებმაც გადაჭრით გაიცხეს გამყიდველი, ავანტიურისტული საქმიანობა საქართველოს მენშევიზმის?

— საბჭოთა წყობილება საზიზღარი სინამდვილეა, საბჭოთა რესპუბლიკაში მთელი ხალხი ყმებად არის გარდაქცეული და მოკლებულია ყოველგვარ უფლებას". საქართველო დამონებულია და კვნესის რუსეთის პატრიოტების და რუსული ჩიშტის ქვეშ!

საბჭოთა წყობილება ინგრევა.

კომუნისტური პარტია ირღვევა! კაპიტალისტურ სამყაროს ებრძვის მხოლოდ მეორე, ყვითელი ინტერნაციონალი, მაკდონალდის და ვანდერველდეს მეთაურობით!!!

აი რას სწერს ნოე ჟორდანია, აი შინაარსი იმ ისტორიულ დოკუმენტის.

გაზეთი თვით მუშებს და გლეხებს მიმართავს: დეე სთქვან მათ, ვინ გადააქცია ისინი ყმებად მენშევიკური რეჟიმის სამი წლის ბატონობის დროს, ვინ იწვევდა საბჭოთა საქართველოში ევროპის ჯავშნიან მუშტს. დეე წაიკითხოს ყველა მუშამ და გლეხმა ეს წერილი ამბობს გაზეთი და შეაფასოს ის ცილისწამება, სიცრუე, რომლითაც აღვსილია ეს დოკუმენტი.

დასასრულ გაზეთი დასძენს:

— ჟორდანიას პასუხი, უკანასკნელი ჰანგებია, სოციალ-დემოკრატიის დაწყვეტილი სიმების.

ეს დოკუმენტი შევა ისტორიაში, როგორც დახასიათება, შემოქმედებისა საქართველოს მენშევიზმის ლიდერის".

ანიძე.

მოზრდილთა სკოლა.

ამ ჟამად მეტად დიდი ყურადღება ექცევა ჩვენში წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობის საქმეს. არსდება ეგრედ წოდებული სალიკვიდაციო სკოლები, იხსნება პირველ საფეხურის სკოლა და სხვა. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ განსაკუთრებული დეკრეტიც კი გამოსცა ამ საქმის ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად. წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობად ნაგულისხმევია 3 თვის ვადა. ამ პატარა წერილით მე მინდა მივაქციო განათლების კომისარიატის ყურადღება იმ გარემოებას, რომ ეს სამი თვე სრულიად არ არის საკმარისი წერა-კითხვის იმდენად მაინც შესასწავლად, რომ ახალგაზრდა მუშამ და გლეხმა ის გამოიყენოს ცხოვრებაში. ამდენი ფული და ენერგია იმიტომ იხარჯება ამ საქმეზე, რომ რესპუბლიკას ჰყავდეს შეგნებული მოქალაქენი. 3 თვის განმავლობაში ყოვლად წარმოუდგენელია, რომ ვინმემ იმდენი ცოდნა შეიძინოს, რომ ის არ დაავიწყდეს. ასეც ხდება ეს.

პრაქტიკიდან ვიცით, რომ 3 თვის განმავლობაში ! მუშები და გლეხები ვერ ასწრებენ წერა-კითხვის შესწავლას და „კურსის" დამთავრების შემდეგ ივიწყებენ იმასაც, რაც შეისწავლეს. რომ უფრო მიზანშეწონილად მოეწყოს ეს დიადი საქმე, აუცილებლად საჭიროა, რომ წერა-კითხვის შესწავლის ვადა განისაზღვროს 5—6 თვით მაინც. მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება დადებითი შედეგების მიღწევა. ეს საერთოდ.

ახლა ქ. ტფილისის სკოლების შესახებ. ქ. ტფილისში არსებობს სალიკვიდაციო და ეგრედ წოდებული პირველ საფეხურის სკოლები. სალიკვიდაციო სკოლები იმყოფება პროფკავშირთა კულტურულ განყოფილების გამგებლობის ქვეშ, ხოლო დიდი ნაწილი პირველ საფეხურის სკოლების გადაცემული აქვს პოლიტ-განათლების მთავარ მმართველობას. უკანასკნელმა კი ეს 24 სკოლა გადასცა ტფილისის აღმასკომის პოლიტ-განათლების განყოფილებას. ეს სკოლები პოლიტ-განმა მიიღო სრულიად მოუწყობელი. სკოლებში არ იყო ელექტრონული განათება, მუშა-მოწაფეთ არ მოეპოვებოდათ სასწავლო ნივთები. ამავე დროს სკოლების სამეურნეო ხარჯები უნდა გაეღოთ სათანადო კავშირებს, ხოლო იდეიური ხელმძღვანელობა და სასწავლო კონტროლი უნდა ყოფილიყო ტფ. პოლიტ.-განათლების ხელში. საერთო კონტროლის განხორციელება კი პოლიტ-განათლების მთავარ მმართველობის ხელში რჩებოდა. აქედან აშკარაა, რომ მუშათა პირველ საფეხურის სკოლებს ჰყავდა სამი პატრონი: პროფკავშირი, პოლიტ-განათლების მთავარი მმართველობა და ტფილისის პოლიტ-განი. ამ მრავალ პიტრონიანობამ აი რა შედეგი მოიტანა: 1923 წ. ნოემბრიდან, 1924 წ, თებერვლის დაწყებამდე ვერ მოხერხდა ელექტრონის სინათლის გაყვანა სკოლებში. ვერც სასწავლო ნივთებით იქნა სკოლები თავის დროზე უზრუნველყოფილი. ბოლოს სამეურნეო ხარჯები ისევ ტფილისის პოლიტ-განმა იკისრა თავის თავზე. სინათლეც მანვე გაიყვანა ათ სკოლაში. ასე თუ ისე თებერვლის შემდეგ სწავლა ამ სკოლებში ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. მაგრამ პოლიტ-განათლების მთავარ სამმართველოს შეუმცირეს კრედიტი და მან ვერ შესძლო 15 აპრილის შემდეგ მასწავლებლებისათვის ჯამაგირის მიცემა და 15 აპრილიდან ამ სკოლებში მეცადინეობა შეწყდა. ზოგიერთმა სკოლებმა განაგრძეს მეცადინეობა აპრილის ბოლო რიცხვამდე (გამოცდები ხდებოდა და იმიტომ). მასწავლებლები, რომელთაც სხვა საცხოვრებელი წყარო, გარდა ამ მუშაობისა, არ მოეპოვებოდათ, დათხოვნილ იქმნენ ადგილებიდან სკოლების დახურვის გამო, ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს ორი

საკითხი: ერთი ის, რომ მუშები ყველგან დიდ სურვილს აცხადებდენ სწავლის საწავლო წლის ბოლომდე გაგრძელების შესახებ და ეს მათი სურვილი ჰაერში გამოკიდული დარჩა, მეორე ის, რომ მასწავლებლები, რომელთაც ორი სამი წელი უმუშავნიათ მოზრდილთა სკოლებში, ულუკმაპუროდ დარჩნენ. ისინი, ცხადია, იძულებულნი იქნებიან ახლა სხვა სამუშაო ეძიონ და სექტემბრიდან საჭირო გახდება სხვა ახალი გამოუცდელი მასწავლებლების აყვანა. ეს მდგომარეობა უსათუოდ არა ნორმალურად უნდა ჩაითვალოს და ამ თავითვე უნდა იქნას მიღებული ზომები, რომ მომავალში ასეთ სამწუხარო მოვლენას ადგილი არ ექნეს. საჭიროა შემდეგი ღონისძიების მიღება: მოზრდილთა სკოლებს უსათუოდ უნდა ჰყავდეს ერთი პატრონი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება, როგორც იურიდიულად, ისე მორალურად სკოლის საქმის ნორმალურად მოწყობა და წაყვანაში. მეორე: პირველსაფეხურის სკოლებისათვის საჭიროა შტატის მასწავლებლები. მასწავლებელი არ უნდა ფიქრობდეს იმას, რომ დღეს აქ არის, მაგრამ ხვალ არ იქნება. ის უნდა სარგებლობდეს ყველა იმ უფლებებით, რომელიც მინიჭებული აქვს შრომის სკოლის მასწავლებელს. როდესაც სოფლად სალიკვიდაციო სკოლაში იწვევენ მასწავლებლებს, მაშინ შესაძლებელია ის არ იყოს შტატში, რადგანაც სალიკვიდაციო სკოლას სეზონური ხასიათი აქვს. ის არსებობს შემოდგომა-ზამთარში მარტო და აგრეთვე მასში ასწავლიან იგივე შრომის სკოლის მასწავლებელნი, რომელნიც კავშირის წევრნიც არიან და დაზღვეულნიც. სულ სხვა მდგომარეობაა აქ, ქალაქში, და ისიც პირველ საფეხურის სკოლაში, რომელნიც უნდა მეცადინეობდენ სასწავლო წლის განმავლობაში.

თუ ჩვენ გვინდა მოზრდილთა სკოლამ მიიღოს სერიოზული ხასიათი, თუ ჩვენ გული შეგვტკივა ახალგაზრდა მუშებზე და გლეხებზე, უსათუოდ უნდა მოვაგვაროდ ეს ორი საქმე: წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ვადა გავაგრძელოთ 5—6 თვემდე, ხოლო აიოველსაფეხურის სკოლას გამოუნახოთ ერთი პატრონი-მზრუნველი და მივსცეთ შტატში მყოფი მასწავლებელი. დაუშვებელი და მიუღებელია მოზრდილთა აღზრდის საქმეს ჰქონდეს შემთგვევითი ხასიათი, მას უნდა მიეცეს სისტემატიური სახე, როგორც ეს შრომის სკოლებს აქვთ.

აქეთკენ მივაქცევთ ჩვენ კანათლების დარგში მომუშავეთა ყურადღებას.

ახლობელი.

ოქტომგრის რევოლიუცია და კონტრ-რევოლიუცია.

IV.

1918 წ. 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა.

ამ დროიდან საქართველოს მშრომელ მასის ისტორიაში ნიადაგი ეყრება ახალ საძირკველს, იწყება ახალი ერა, მაგრამ საჭიროა გავითვალისწინთ თუ ეს **ახალი** ვის ემსახურება და რა მიზნები აქვს დასახული.

სანამ ამ კითხვებს უპასუხებდეთ აუცილებლივ უნდა მოვაგონოთ მკითხველს ის მწვავე და აუტანელი მდგომარეობა, რასაც განიცდიდა იმ პერიოდში, ყველა ნამდვილი რწმენის რევოლიუციონერი. მათ მრავალ წლების განმავლობაში აზრადაც კი არ მოსვლიათ ისეთი აზრები, რაც 26 მაისის სახით მოახვია საქართველოს მუშებს და გლეხებს საქართველოს „სოციალისტებმა"...(?.)

ვის არ ახსოვს სეიმის უკანასკნელი სხდომა? თვალ-ცრემლიანი გამოსტუმრება იქიდან არა ქართველებისა...

ქუჩაში გამოსვლისას არ იცოდენ სად უნდა წასულიყვენ...

მართალია, იქ იყვენ ისეთი პარტიების წარმომადგენელნი, როგორც მაგალითად მუსავატელები და სოხნების მშრომელი ხალხის მოსისხლე მტრები—დაშნაკელები, მაგრამ უდაო ფაქტია, რომ ეს ვაჟბატონები სეიმში გაბატონებული იყვენ არა იმიტომ, რომ მშრომელი ხალხისათვის რაიმე სარგებლობა მოეტანათ, არამედ ისინი იცავდენ ბეგ-აღალარების და სომხის ბურჟუა—კლერიკალების ინტერესებს...

ეს მართალია!

მაგრამ, ამიერ კავკასიის ფარგლებში მცხოვრებ სომეხს, ან ადერბეიჯანელ მუშებს და გლეხებს რაღა პასუხს აძლევენ ის ვაჟბატონები, რომლებიც თავიანი ვითომ და „დამოუკიდებელ საქართველოს" ჩინურ კედლებს უშენებდენ გარშემო?!.

რას ფიქრობენ ის ინტერნაციონალისტები, რომელნიც 1905, 6—7 წლებში და შემდეგ გაჩაღებულ პოლემიკას აწარმოებდენ ფედერალისტებთან და სხვა ამ ჯურის შოვინისტურ პარტიებთან, რომლებსაც სეპარატისტებათ, მოდალატეებათ და რა ვიცი კიდევ როგორ არ ნათლავდენ ხოლმე?

აგონდებოდათ, სინიდისი ჰქენჯნიდა მათ და ამიტომ, ისეთმა ბელადებმა პარტიისა, როგორიც იყვენ ნოე ერორდანია და კაკი წერეთელი ენენის ყრის დროს თავი შეიკავეს.

მშვენიერათ მახსოვს, როდესაც წითელი დროშა მოიხსნა და სამფეროვანი დროშა აფრიალდა სასახლეზე, მაშინ განსვენებულმა **რაფიელ ჩიხლაძემ** მწარეთ ამოიოხრა და სთქვა:

—„ჩვენი დაღუპვის დღე ახლა იწყებაო."

გამოცხადდა დამოუკიდებელი საქართველო.

ჩვენ შეგვიძლია თამამათ ვაღიაროთ, რომ საქართველო დამოუკიდებელი კი არ იყო, არამედ **უაღრესათ დამოკიდებული**. ის მთელი სამი წლის განმავლობაში მწარეთ გმინავდა იმპერიალიზმის უღელ ქვეშ და ფაქტიურათ გადაქცეული იყო სათამაშო ბურთათ.

შემდეგ ევროპის ჯამბაზებმა საქართველო იცვნეს ჯერ „ფაქტიურად" და მერე „იურიდიულათაც" რატომ იცვნეს, რისთვის, ან ვისთვის დასჭირდათ ეს თვალთმაქცობა?

აქ ნათლათ გამოსჭვივოდა „იმპერიალისტ მყკლეფელების საკუთარი ინტერესები.

საქართველოს „დეიურეთ ცნობა გამოწვეული იყო მხოლოდ რუსეთის რევოლიუციის შიშით, რომელიც თანდათან უახლოვდებოდა ინგლისის სამფლობელოს აღმოსავლეთში.

ეს შიში მოედო მთელ იმპერიალისტურ ევროპას და ყოველ კუთხიდან, ყოველ სოფო-ხვრელიდან გამოძვრენ შხამიანი, გესლიანი გველები და დაიწყეს კბენა წითელ რუსეთის მუშურ-გლეხურ ხელისუფლების.

„დამოუკიდებელი საქართველო" გახდა დასავლეთ სახელმწიფოებისა, იმპერიალისტურ ყაჩაღ-ბანდების სათარეშო ბანაკად.

აქ უკვე თავისუფლათ იწყეს ნავარდი გერმანიის, ინგლისის ოსმალეთის და სხვების ჯარებმა...

დღეს უკვე აღარავის იოტის ოდენა ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ საქართველოს მენშევიზმს დასავლეთის ჯარები ესაჭიროებოდა მისთვის, რომ მოეხდინა სრული იზოლაცია ჩვენი ტურფა ქვეყნის პროლეტარულ რუსეთისგან: ჩაეხრჩო, ჩაეკლა ყოველგვარი მოძრაობა, რომელ-

საც მიზნათ ეჭნებოდა გაერთიანება რუსეთის მებრძოლ მუშებთან

მთელი სამი წლის განმავლობაში მენშევიკებმა, თავიანთი ენერგია, საქმე და სიტყვა მოანდომეს მას, რომ ჩაენერგვათ საქართველოს მშრომელი ხალხისათვის სიძულვილი რუსეთის ოქტომბრის რევოლიუციისადმი, საბჭოთა სისტემისადმი და თავის მომძე მუშა-გლეხისადმი.

ამ გვარად ჟორდანია—წერეთლები, ჩხენკელ--რამიშვილები, როგორც პარტიის ბელადები, მოსწყდენ წითელ ოქტომბერს, გადაბარგდენ კონტრ-რევოლიუციის ბანაკში და დაიწყეს რაუტებში—ვეჩერებში სადღეგრძელოების სმა აქ, იმპერიალისტურ მიზნებით შემოსულ ოსმალების ჯარების გამარჯვების გამო ბაქოში.

იმათ არამც თუ თითონ მოიტეხეს კისერი, არამედ თავიანთი ენა ტკბილა და პირწყლიანი აგიტატორ-პროპაგანდისტების და ძველი ავტორიტეტის წყალობით მშრომელი მასსაც თითქმის შეათრიეს ამ წუმპეში.

დაიწყო ახალი ერა—კაციჭამიაობის ერთა შორის, ნაციონალიზმმა ფართოთ და თავისუფლათ გაშალა ფრთები. მთელი ჩვენი შრომა უკვე გადმოვიტანეთ ამ დარგში და გულმოდგინეთ დავიწყეთ ზარბაზნების და ტყვიის ფქვეველების სროლა.

ყოველგვარი კულტურული, აღმშენებლობითი მუშაობა შესწყდა, რაიმე რევოლიუციონურ რეფორმებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტი იყო.

დაიწყო უკმაყოფილება მენშევიკებისადმი; და მუშებმა და განსაკუთრებით გლეხებმა დაიწყეს ბრძოლა.

ვის არ ახსოვს რომ წამ და უწუმ, ხან იქ, მუდამ ერთსა და იმავე საგნის გარშემო უკმაყოფილება იბადებოდა ხოლმე, თანდათანობით მწვავდებოდა და ბოლოს, აშკარა აჯანყების სახეს ღებულობდა.

საქართველოს მშრომელი გლეხობა თავიდანვე იმ აზრს ვერ ურიგდებოდა, რომ სამუდამოდ ჩამოშორდა რუსეთის მუშებს და გლეხებს, რომლებთან ერთათ უტარებიათ თვითმპყრობელობის მძიმე ჯაბანი, მრავალი წლის განმავლობაში ერთად უბრძოლიათ თავიანთ წმინდათა წმინდა იდეალებისთვის.

მაგალითები მრავალზე უმრავლესია, საილუსტრაციოთ მოვიყვან ერთ ეპიზოდს ახალციხის ფრონტზე მომხდარს. იქ გადამწვარ, გადაბუგულ საწყალ მუსულმანის ოჯახში დარჩენილ დედაკაცს მხეცურათ მოეპყრენ სახალხო გვარდიელები თავის პირუტყული გრძნობის დასაკმაყოფილებლად.*)

ასეთ თავხედობას, ასეთ გახრწნილობას, ასეთ გზა აბნეულ და დამღუპველ პოლიტიკას ვერ შეურიგდებოდა საქართველოს მუშები და გლეხები და, ეს იყო მიზეზი, რომ მათ მალე მიანგრ-მოანგრიეს მენშევიზმის ოქროს ტახტი, მიფხრიწ-მოფხრიწეს სამფეროვანი დროშა—ემბლემა შუღლის და ანტაგონიზმის, დაბეჩავების, დამონავების და მის ნანგრევებზე ხელმეორეთ აღმართეს მუშის სისხლით შეღებილი **კომუნისტური წითელი დროშა.**

ივ. დავთიანი.

გიორგი ვ. პლეხანოვი

გარდაცვალებიდან 6 წლის შესრულების გამო.

ამ დღეებში შესრულდება ექვსი წელი მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის დამაარსებელი და მუშათა კლასის დიდი მასწავლებელი გ. პლეხანოვი.

ჩვენთვის, საქართველოს მუშათა კლასისათვის გ. პლეხანოვის პოზიცია მთელ რიგ საკითხებში, რომელიც ყალიბდებოდა პარტიის კონფერენციებზე იყო ყველაზე უფრო მისაღები და სწორი. ჩვენ შარშანდელამდის მიგვაჩნდა ჩვენი დიდი ბელადათ პლეხანოვი. არა ერთხელ და ორხელ ჩვენი ყოფილი ხელმძღვანელები საქართველოში იმოწმებდენ პლეხანოვის შეხედულებებს, როგორც ომის საკითხში მაგ. ნ. ჟორდანია, ან ოქტომბრის რევოლიუციის შეფასებაში პლეხანოვი ხშირად იყო საბუთი იმის გასამართლებლად, რომ ოქტომბერი არ არის რუსეთის რევოლიუციის ისტორიული განვითარების ერთი ეტაპთაგანი, რომელიც ნიადაგს უმზადებს საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციას. დღეს, როდესაც ჩვენმა მუშათა კლასმა საბოლოოდ გასწყვიტა კავშირი ძველი მიმართულებასთან და მოახდინა ყველა თავისი ღირებულებათა გადაფასება, საჭიროცაა და აუცილებელიც უფრო მეტის მიუდგომლობით შეაფასოს თავისი ყოფილი ბელადის შეცდომები, რამაც დიდი ისტორიულ ქარტეხილს ჩამოაცილა ეს ოდესღაც ბუმბერაზი რევოლიუციონერი.

პლეხანოვი რომ რუსეთის მარქსისტულ აზროვნებაში ყველაზე მეტი ავტორიტეტიანი იყო, ეს ჩვენი მუშათა კლასისათვის ცნობილი ფაქტია, ცნობილია ისიც, რომ მისი თეორეტიული მუშაობის შედეგები ძალიან ხშირად სცილდებოდა რუსეთის საზღვრებს და ევროპის მაშტაბით იშლებოდა (მაგ. რევიზიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და სხვა.) ჩვენი წერილის მიზანს არ შეადგენს გადმოსცეს პლეხანოვის ყოველმხრივი შეფასება. ეს ჩვენ ძალღონეს აღემატება.

არც თუ არის დღევანდელ პირობებში მიზანშეწონილი მკითხველის ყურადღება გადავიტანოთ ნახევარი საუკუნის უკან და მოვიგონოთ პლეხანოვის გრანდიოზული ბრძოლა ნაროდნიკების წინააღმდეგ, რაიც ამ უკანასკნელის იდეიური გაკოტრებით დასრულდა; ან და ნაკლებად საინტერესო უნდა იყოს მკითხველისათვის დაწვრილებით შეჩერება იმაზე, თუ როგორის არა ჩვეულებრივი დახელოვნებით გადმონერგა რუსეთში მეცნიერული სოციალიზმის იდეები დაწყებული მეოთხმოციან წლებიდან უკანასკნელ ხანებამდე.

ჩვენ მხოლოდ ორი საკითხს გავარჩევთ, რომელმაც გადამჭრელი მნიშვნელობა იქონია პირადათ გიორგი პლეხანოვის ცხოვრებაში კერძოთ, და ევროპის სოციალისტურ მოძრაობაში საერთოდ, ეს არის საკითხი ომის და რევოლიუციის.

ამ საკითხების გარჩევა მიზანშეწონილი უნდა იყოს იმ მხრივაც, რომ მეორე ინტერნაციონალში დღესაც მოკალათებული არიან ყველა ისინი, ვინაც ომის დროს მსგავსად პლეხანოვისა უღალატეს პროლეტარიატს, დაივიწყეს სულ ორი წლით ადრე ბაზელის კონგრესის დადგენილება, სადაც არის გამოთქმული სოციალისტის მოვალეობა მოულოდნელ ომში, რათა იმპერიალისტური ომი სამოქალაქო ომათ გადაექციათ, მიუხედავათ ამისა ევროპის სოციალისტების დიდმა უმრავლესობამ ომის პირველ დღეებიდანვე ომის მონაწილე მთავრობებს გვერდში ამოუდგენ და მით მორალურად გააკოტრეს საერთაშორისო მუშათა ორგანიზაცია.

რუსეთის მენშევიკებში პლეხანოვის პოზიციას, როგორც ცენტრში ის პერიფერებში, მრავალი იზიარებდა და ზოგი პირიქით უფრო შორსაც მიდიოდა. მაგ. ცნობილი მასლოვი და სხვები.

იყვენ ისეთნიც, რომელთაც საშუალო

---

*) ახალციხის აჯანყების შესახებ თითქმის არაფერი დაწერილა, ან ძალიან ცოტა თქმულა პრესაში. საჭიროა ამის შესახებ დაწვრილებით მოგვითხროს ამხ **ივანე ხმალაძემ** (ბორჯომის ყოფილ სახალხო გვარდიის შტაბის თავმჯდომარე), რომელიც როგორც გვარდიის უფროსი უშუალო მონაწილე იყო ახალციხის უკანასკნელ ამბოხებაში.

ივ. დავთიანი.

ხაზი ქონდათ აღებული და „არც დამარცხებას არც გამარჯვებას“ ხელს არ უწყობდენ. ლენინის მოხდენილი დახასიათება რომ ვიხმაროთ ასეთი პოზიცია „არც დამარცხებისა და არც გამარჯვების“ ობიექტიურად და ფაქტიურად იყო დგომა ბურჟუაზიისა და ოპორტიუნისტების ხაზზე, რადგან ეს ნიშნავს სამოქალაქო ზავს, კლასთა ბრძოლაზე უარის თქმას და პროლეტარიატისათვის პასიური როლის მინიჭებას. ერთად ერთი სწორი ხაზი, საერთაშორისო სოციალისტური აზროვნების იდეოლოგიური დაქსაქვსის მომენტში, აიღო ამ ხ. ლენინმა, რომელმაც გარკვევით წამოაყენა „დამარცხების“ ლოზუნგი, ლენინი ასე აყენებდა საკითხს: რევოლიუციონურ კლასს რეაქციონურ ომში არ შეუძლია არ სურდეს თავის მთავრობის დამარცხება, რადგან ასეთი დამარცხება არის უდიდესი ხელის შემწყობი პირობა, სამოქალაქო ომად გადაქცევა იმპერიალისტურ ომის, რომელსაც უნდა მოყვეს კაპიტალისტური საზოგადოების ლიკვიდაცია. მუშათა კლასს არ შეუძლია ხელი აიღოს რევოლიუციონურ ტაქტიკაზე თუ გინდ ომის პროცესში, სულ ეს კი ნიშნავს ხელის შეწყობას საკუთარი მთავრობის დამარცხებისათვის.

ერთად ერთი ჭეშმარიტი პოლიტიკა, კლასთა ბრძოლაზე დამყარებით, რომელსაც შეუძლია პროლეტარიატის გამარჯვამდე მიყვანა არის ხელის შეწყობა თავისი მთავრობის და ბურჟუების დამარცხებისათვისო.

ამ ხ. ლენინის აზრები ბევრში განცვიფრებას იწვევდა, ბევრს მოწინავე პირებს ვერ მოენელიებიათ ასეთი „ულტრა ანარქისტული“ მიდგომა საკითხისადმი, მაგრამ მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ ლენინის პროგნოზი სავსებით გაამართლა და თუ ომის დროს მუშათა კლასის დიდი უმრავლესობა პლეხანოვისა და საერთოდ ინტერნაციონალის შოვინისტური პოლიტიკით გაბრუებული ერთგვარის უნდობლობით უცქეროდა ამ ხ. ლენინის აზრებს, დღეს პირიქით, გაკვირვებას, იწვევს ის თუ როგორ ვერ გაიგეს სოციალისტების დიდმა უმრავლესობამ, რომ რევოლიუციონურ პროლეტარიატს როგორ შეეძლო არ შეეწყო ხელი ბურჟუაზიის დამარცხებისათვის ომში, რომელიც გაუადვილებდა პროლეტარიატს ძალაუფლების ხელში ჩაგდებას.

საქართველოს მუშათა კლასმა ერთი პრამ გარკვევით იცის პლეხანოვის შესახებ ომამდის და კერძოთ 1917 წლამდის ლეხანოვი, მიუხედავად ხშირად ტაქტიკურ საკითხებში რყევისა, იყო მუშათა კლასისათვის დიდი ავტორიტეტი. პლეხანოვს მთელი გულის ყურით უსმენდა როგორც რუსეთის, ისე განაპირა ქვეყნების პროლეტარიატი, მიუხედავათ ამისა 1917 წლის რევოლიუციამ არ იწამა პლეხანოვის ხაზი და იგი მძაფრ ისტორიულ ქარტეხილში განმარტოებული დარჩა, რომელსაც ფიზიკური ტკივილებთან ერთად სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში ზედ ერთვოდა იდეიური სიმარტოვის მწარე განცდები.

თუ პლეხანოვი თეორეტიულ საკითხებში ყველას ბიერ აღიარებული ავტორიტეტი იყო, სამაგიეროდ ტაქტიკურ საკითხებში ხშირი იყო შემთხვევებიც დამარცხებისა. ყველაზე უფრო დიდი დამარცხება პლეხანოვმა განიცადა ომის საკითხში, როცა საერთაშორისო ომის მიზეზად აღიარა გერმანეთისა და ავსტრიის კაპიტალისტები, იუნკრები და დიპლომატები. პლეხანოვი 1914 წ. იმპერიალისტურ ომს მიუდგა არა მარქსისტულ თვალთა ხედვით და დაიწყო ძიება რომელ სახელმწიფოში, რომელი საზოგადოებრივი კლასი რა სპეციალური მიზნით იღებდა მონაწილეობას ომში. მისი აზრით საჭიროა გამონახულ იქნას ომის დამწყები, რომ მას ანგარიში გაუსწორდეს, ხოლო სხვა საკითხები, რომელიც გამომდინარეობდა პროლეტარიატის რევოლიუციონური ტაქტიკიდან გადაგვაქვს სხვა დროისა და სხვა პირობებში. მაგრამ ომის საკითხში დამარცხდა არა მარტო პლეხანოვი, არამედ მთელი მეორე ინტერნაციონალი, რადგან მისმა ხელმძღვანელებმა უღალატეს პროლეტარიატს. დავიწყებას მისცეს ინტერნაციონალის რეზოლიუციები, სადაც ზედმიწევნით გარკვევით და გაკვეთილად იყო აღნიშნული სოციალისტური შეხედულება ომზე და მეორეს მხრივ ნათლად იყო აღნიშნული მოსალოდნელ ომში პროლეტარიატის რევოლიუციონური ტაქტიკა.

4 აგვისტოს 1917 წ. ჰააზე გერმანიის სოც. დემოკრ. ხელმძღვანელი აცხადებს: პარტიამ გადასწყვიტა მტრის შემოტევის თავიდან ასაცილებლად კრიტიკულ მომენტში დადგეს სამშობლოს დასაცავათ და ამიტომ ხმა მისცა სამხედრო კრედიტებს, ამავე დღეს საფრანგეთის საპარლამენტო ფრაქციამ უკამათოდ მიიღო მთავრობის სამხედრო კანონ პროექტები.

საფრანგეთში მთავრობაში შევიდა სამბა და გედი, ცოტა ხნის შემდეგ შედის ალბერტ ტომა, ბელგიაში-ვანდერველდე, ინგლისში პარტიამ გაგზავნა ჰენდერსონი, სიმერტსი და სხვა.

სოც-შოვინიზმის პოზიცია ომის საკითხში იდეურად და პოლიტიკურად არის ლოლიკური შედეგი ოპორტიუნიზმისა; პრივილეგიური პირობებში მყოფი ერთი მუჭა სოციალისტური პარტიების წევრებისა, ბურჟუაზიასთან კავშირში ეძებდა საკუთარი მდგომარეობის უზრუნველყოფას და ომმა სრულიად ახადა ნილაბი ასეთ ელემენტებს, რომლებიც სიტყვით პროლეტარიატის ინტერესებს იცავდენ, ხოლო საქმით გაბატონებულ კლასებს ემსახურებოდენ.

როცა საჭირო გახდა სიტყვების საქმეზე განხორციელება ასეთ ელემენტებმა პირველ მომენტშივე უღალატეს მუშათა კლასს და ფორტფელებზე გასცვალეს თავიანთი რევოლიუციონური მოვალეობა. სამწუხაროთ, იყვნენ ისეთნიც, რომლებიც წინააღმდეგ მათი სუბიექტიური განწყობილებისა, ობიექტიურად გაბატონებული კლასების აშკარად ხელის შემწყობად გამოვიდენ.

ასეთი იყვენ პლეხანოვი, კაუცკი და სხვები.

ბევრი პლეხანოვის გამოსვლას ომის დროს მოელოდენ სულ სხვაგვარად, ფიქრობდენ პლეხანოვი სწორედ შეაფასებს ომის ბუნებას, რომელიც არსებითად იყო იმპერიალისტური პოლიტიკის გაგრძელება სხვაგვარ ფორმაში, გაუკეთებს სწორ ანალიზს პროლეტარიატს დაუსახავს სწორს რევოლიუციონურ პერსპექტივებსო.

მაგრამ პლეხანოვის პოზიცია ბევრისათვის მოულოდნელი გამოდგა, რადგან არამც თუ ხელის შეშლისაკენ მოუხმო პროლეტარიატს, არამედ ხელი შეუწყო მეფის მთავრობას, რათა იმპერიალისტური ომი მოეჩვენებია ეროვნულ ომათ, სადაც თავდასხმას აწყობდა თითქოს გერმანეთის იმპერიალიზმი, ხოლო რუსეთის პროლეტარიატის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვდა გაორკეცებულ ენერგიით თავის დაცვას.

პლეხანოვის, კაუცკისა და სხვათა თეორეტიული პოზიცია ერთი და იგივე იყო. მოკლეთ ყველა ისინი ასე მსჯელობდენ: დეე იყოს ჩვენი მთავრობა დამნაშავე, დეე მან დაიწყო ომი, დეე მისი საგარეო პოლიტიკა იყო შემცდარი, უფრო მეტიც, იყო დამნაშავე, მაგრამ სად გაგონილა მთავრობის შეცდომების გამო დაისაჯოს ხალხი. რაკი ომი დაიწყო, ჩვენს სამშობლოს საფრთხე ემუქრება,

ჩვენი მოვალეობაა იგი დავიცვათ. ჩემი სამშობლოს დამარცხება ეს უფრო მეტი საშინელებაა და ამიტომ სამშობლოს დაცვა აუცილებელია. აი როგორ ალაპარაკდენ ინტერნაციონალის ხელმძღვანელები, ამაზე შორს ზნეობრივი დაქვეითება წარმოუდგენელია; მთლიანი პროლეტარული ფრონტის მაგივრად ეროვნული ბურჟუაზიასთან კავშირი და ხელის შეწყობა ბურჟუაზიულ ნაციონალისტური პოლიტიკის დასაცავად. „ყველა მოუთმენლად მოელოდა პლეხანოვის გამოსვლასო ომის პირველ დღეებში — სწერს ამხ. სეით დევდარიანი პლეხანოვის შესახებ ხარკოვში გამოცემულ შრომაში — სურდათ მოესმინათ მისი ხმა. არავის ეგბადებოდა ეჭვი იმაში, რომ ის მკაცრად გაილაშქრებდა სახელმწიფოთა მხეცური პოლიტიკის წინააღმდეგ და მით იხსნიდა მეცნიერული სოციალიზმის ღირსებას. არ იყო საფუძველი ეჭვი მიგვეტანა ამ იმედში, რადგან ყველას კარგად ახსოვდა თუ რას სწერდა პლეხანოვი ომის შესახებ წინად, მაგრამ პლეხანოვმა არ გაამართლა იმედი, მან ხელი არ შეუწყო გვამებით მოფენილ ველებზე, სისხლიან მდინარეებზე და ხლართიან მავთულებზე ყველა ქვეყნის სოციალისტებს ერთი მეორესათვის ხელი გაეწოდათ.“

მართლაც პლეხანოვის პოზიციამ ბევრი გააკვირვა. ძნელი წარმოსადგენი იყო, თუ ასეთი უზარმაზარი მარქსისტი იმპერიალისტური ომის პირობებში რევოლიუციონურ ტაქტიკას მიაფუჩეჩებდა და რეაქციონური მთავრობის პოლიტიკას გაიზიარებდა.

ყველა საღად მოაზროვნე სოციალისტს ადვილად უნდა შეემჩნია, რომ 1914 წლის ომი იმპერიალისტური ბუნების მატარებელი იყო, და აქ თავდამსხმელზე და თავდამცველზე ლაპარაკი ზედმეტი იყო, რადგანაც ჩვენ აქ საქმე გვქონდა რამოდენიმე ყაჩაღთან, რომლებიც ნადავლის გაყოფაზე ერთი მეორეს დაესია.

წინად მე 19 საუკ. ნაციონალურ ომების დროს საჭირო იყო გამორკვევა თავდამსხმელის და თავდამცველის, რათა რევოლიუციონერის სიმპატია მიმხრობოდა დამონებული ერის ბრძოლას დამამონებლის წინააღმდეგ.

1914 წ. ომი არ იყო არც ბურჟუაზიულ პროგრესიული და არც ნაციონალურ გამანთავისუფლებელი მნიშვნელობის მქონე. კაპიტალიზმი ოდესღაც ფეოდალიზმთან ბრძოლაში პროგრესიული როლის მატარებელი იყო, როცა მხარს უჭერდა ერების განთავისუფლებას, ხოლო თანამედროვე იმპერიალისტური კაპიტალიზმი თვით გადაიქცა ერების უსასტიკეს მჩაგვრელად და ამდენად დღეს კაპიტალიზმი აშკარა რეაქციონურ ძალას წარმოადგენს.

მიუხედავათ ამისა, დღესაც იმპერიალისტური კაპიტალიზმის პერიოდში შესაძლებელია სოციალისტმა ომში მონაწილეთა ერთ-ერთის მხარე დაიცვას თუ იგი მიმართული იქნება კოლონიალურ ერთა გასანთავისუფლებლად, რადგან სოციალისტის პირდაპირი მოვალეობაა ხელი შეუწყოს მეტროპოლიის უღელქვეშ მყოფ ერის განთავისუფლებას.

ხვალ რომ მაროკომ ომი გამოუცხადოს საფრანგეთს, — სწერს ამხ. ლენინი 1915 წ. — ინდოეთმა ინგლისს, სპარსეთმა და ან ჩინეთმა რუსეთს ეს იქნებოდა სამართლიანი“ „მოგერიებითი“ ომები... და ყოველი სოციალისტი თანაგრძნობით შეხვდება დაჩაგრულ, დამონებულ არასწორ უფლებიან სახელმწიფოს გამარჯვებას, მონათმფლობელ და მცარცველ „დიდ“ სახელმწიფოებზეო.

თანამედროვე იმპერიალისტური ომი, რომელიც მიმართული იყო ბაზრების დასაპყრობათ, ბრძოლის უკიდურესი გამწვავებით, რისთვისაც ევროპის იმპერიალისტური მთავრობები ათეულ წლების განმავლობაში ემზადებოდენ და ცდილობდენ მსოფლიოს ხელახლა გადაყოფვა მოეხდინათ, პლეხანოვმა ასეთ ომში დაიწყო ძიება თუ რომელი მხარეა დამნაშავე, თავდამსხმელი და ევროპის სიმშვიდის დამრღვევი.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ ომის მიზეზათ პლეხანოვმა გერმანეთის იმპერიალიზმი მონათლა, რომელიც თითქოს სხვა ქვეყნის იმპერიალიზმს დიდათ გასცილდებოდა. სინამდვილეში განა რუსეთის, საფრანგეთის ან ინგლისის იმპერიალიზმი უფრო სამართლიანი კაცთმოყვარული იყო? რასაკვირველია არა. შეიძლება მცირედი განსხვავება იყოს მათ შორის ძალის მხრივ, თორემ იმპერიალიზმი ყოველგან ერთი გარკვეული შინაარსის მატარებელია, რადგან იგი ჩნდება კაპიტალიზმის განვითარებით უმაღლეს საფეხურზე, როგორც თავისებური სოციალ-ეკონომიური პოლიტიკა უაღრესად განვითარებულ კაპიტალიზმისა. იგი მიისწრაფვის შექმნას, რაც შეეძლება ფართო სამეურნეო ტერიტორიები, იგი მიისწრაფის თავისუფალი ვაჭრობა დაუქვემდებაროს მსხვილ სინდიკატებსა და ტრესტებს, იმპერიალიზმი გულისხმობს, რომ მთელი მსოფლიო დაყოფილია რამოდენიმე მსხვილი სახელმწიფოს შორის და ომი ასეთ ეპოქაში წარმოიშობა მსოფლიოს ხელახალი დაყოფვის მიზნით. უკანასკნელად იმპერიალიზმი ერთ რამეს გულისხმობს, რომ მოწინავე ქვეყნებში სოციალიზმისთვის ნიადაგი მზადაა, ბურჟუაზიული სამყაროს დასასრული მოახლოვებულია და ომი გაბატონებული კლასისათვის არის საშუალება, რათა მათი დაღუპვის ჟამი გაახანგრძლივონ.

პლეხანოვმა ყოველივე ეს კარგად იცოდა და მით უმეტეს არის სამწუხარო, რომ იგი პროლეტარიატის ყურადღებას აქცევს არა იქ, სადაც საჭიროა, რათა სამოქალაქო ომის გაჩაღებით რევოლიუციის ცეცხლში დაიწვას ძველი სამყარო, არამედ თვით გახდა შოვინისტური აზრების გამტარებლად და მით განუზომელ სამსახურს უწევდა თვითმყრობელებს.

ზოგი მკვლევარი პლეხანოვს ახასიათებს როგორც განსაკუთრებული პოლიტიკის მატარებელს, რომელმაც თითქოს იცოდა მუშათა კლასის უამრავ მტრებში ყოველ კონკრეტ პირობებში ამორჩევა ყველაზე უფრო შეუპოვარი მტრის და იქით მოუწოდებდა მუშათა კლასს, წინად იგი თვითმყრობელობას სთვლიდა ყველაზე უსაშინელეს მტრად მუშათა კლასისათვის, უკანასკნელ ომში კი გერმანეთის იმპერიალიზმი მიიჩნდა ასეთ მტრად და აქეთ მოუწოდა პროლეტარიატსაც, მაგრამ საკითხია რატომ გერმანეთის იმპერიალიზმი იყო უფრო უახლოესი მტერი პროლეტარიატისთვის და არა „ევროპის ჟანდარმი“ ნიკოლოზის მთავრობა.

რასაკვირველია, პლეხანოვი თავის პოზიციას ასაბუთებდა მთელი რიგი მოსაზრებით, რომელიც დღეს ყველაში ღიმილს გამოიწვევს, ასე მაგ. სოციალიზმის განხორციელება დაკავშირებულია კაპიტალიზმის სწრაფი განვითარებასთან რუსეთის გამარჯვება ამ ომში ხელს შეუწყობს კაპიტალიზმის გაძლიერებას, ეს კი სოციალიზმს მოგვიახლოებს, ხოლო გერმანეთის გამარჯვება რუსეთის სამრეწველო განვითარებას შეაფერხებს და ამდენად სოციალიზმის თვალსაზრისით მიუღებელია.

ანდა გერმანეთის გამარჯვება გააძლიერებს ინტერნაციონალში „რევიზონისტული“ ფრთას, რაც ხელს შეუშლის ევროპის რევოლიუციონურ მოძრაობას.

ამნაირად პლეხანოვი ხელს უწყობდა არა კლასთა ბრძოლის გაღრმავებას, არამედ კლასთა შერიგებას, არა სამოქალაქო ომს, არამედ სამოქალაქო ზავს, არა პროლეტარიატის დარაზმვას ბურჟუაზიის

წინააღმდეგ, არამედ ბურჟუაზიასთან კავშირს, არა ბრძოლას პოლიტიკური ძალა უფლების ხელში ასაღებად, არამედ თვითმყრობელობასთან კავშირს და რევოლიუციის ტაქტიკის დავიწყებას.

როდესაც საფრანგეთის პარლამენტის ტრიბუნიდან ერთ-ერთმა დეპუტატმა გადმოისროლა ლოზუნგი ომის წინააღმდეგ

ანდა ირლანდიელებმა ამბოხება მოახდინეს ინგლისელების წინააღმდეგ, ყოველი ასეთი ომის წინააღმდეგ მიმართული გამოსვლები პლეხანოვის „რევოლიუციონურ სინდისს" აღშფოთებდა, რადგან მასში ხედავდა გერმანეთის დამარცხების ხელის შეშლას.

თუ ოდესღაც ბუმპერაზი სოციალისტი და რევოლიუციონერი პლეხანოვი რეაქციონურ მთავრობების პატრიოტული ყიჟინაში დაიბნა, დაკარგა სწორი რევოლიუციური ხაზი და ხელს უწყობდა მუშათა კლასის შეცდომაში შეყვანას, სამაგიეროდ სოციალისტური რევოლიუციის უბადლო ხელმძღვანელი ამბ. ლენინი ჯერ კიდევ ომის პირველ ხანებში გასაოცარის სისწრაფით ხაზავდა რევოლიუციურ პერსპექტივებს. ნოემბრის 1917 წ. დ-წერილს წერილში ამბ. ლენინი ამბობს: კლასობრივ ბრძოლის აგიტაცია არის ყველაზე უფრო კეთილშობილი მოვლენა სოციალისტისა განსაკუთრებით ომის დროს, რათა უსაშინელესი იმპერიალიზმი, რომელიც ახლო მომავალში ახალ ახალ ომების მოწამეს გაგვხდის, საჭიროა სამოქალაქო ომის გაჩაღებით, რევოლიუციით დაითურგნოს კაპიტალისტურ საზოგადოების იმპერიალიზმი.

პროლეტ. დროშა სამოქალაქო ომისა თუ დღეს არა ხვალ, თუ ომის პროცესში არა მის დასასრულს, შემოიერთებს თავის ირგვლივ, არა მარტო მრავალ ათას შეგნებულ მუშებს, არამედ მილიონი მუშათა რწმენას დღეს შოვინიზმით დასნეულებულთ, რომელთაც ომის საშინელება არამც თუ ხელს შეუშლის, არამედ პირიქით გამობრძმედავს, ასწავლის, გააკეთებს მაო ნებას და მომზადდება საომრად როგორც „თავისი" აგრეთვე „სხვა" ქვეყნის ბურჟუაზიის წინააღმდეგ. თუ ასეთი აზრები მკრთალად ანათებდა საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში ომის პირველ ხანებში, 5 წლის შემდეგ იგი მთელ მსოფლიოს ანათებს და ხელმძღვანელობას უწევს საერთაშორისო რევოლიუციის განვითარებს.

პლეხანოვის დამოკიდებულება რუსეთის რევოლიუციისადმი იყო ჩვეულებრივი მენშეკიკური ახსნა, რომლის აზრით თებერვლის რევოლიუცია არის უკანასკნელი ბურჟუაზიული რევოლიუცია ევროპაში.

პლეხანოვი იმდენად გაიტაცა გერმანეთის იმპერიალიზმის სიძულვილმა, რომ ვერ შეამჩნია ის რევოლიუციონური პერსპექტივები, რომელსაც ომი იწვევდა. კაპიტალიზმის ღრმა კრიზისის მოახლოვების ხანამ, რომლის შედეგი უნდა გამხდარიყო სოციალისტური რევოლიუცია პლეხანოვისათვის თითქმის შეუმჩნეველად ჩაიარა.

პლეხანოვი რუსეთში დაბრუნების პირველ დღიდანვე განაგრძობდა ძველ ხაზზე დგომას და 3 წლის ომით დაქანცული მუშათა და ჯარის კაცთა მასებს ფინლიანდიის სადგურზე—პეგროგრადში მოუწოდებდა უფრო მეტის ენერგიით განეგრძო შეტევა გერმანეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რადგან რუსეთის რევოლიუციის უსაშინელეს მტრად მაინც კვლავ გერმანეთის იმპერიალიზმი მიაჩნდა.

რევოლიუციონურმა მასამ არ იწამა პლეხანოვის ასეთი მოწოდება, 3 წლის ომით დაქანცულებმა არ მიიღეს ძველი მასწავლებლის კვლავ ბრძოლის ველისაკენ მოწოდება და აქ პირველად შესამჩნევად გაიბზარა პლეხანოვთან, როგორც ძველი სოც. დემორტ მასწავლებელთან ახლო ყოფნის ნიადაგი. აქ პირველად მასაში ელექტროს ჩქერივით გაიკლაკნა აზრი პლეხანოვის მიერ პროლეტარიატის ინტერესების დავიწყებისა

(დასასრული იქნება).

ა. კალაძე

მუშათა წერილები

კულტმუშაობა გემო-კვეგის კავშირში.

ტფილისში სურსათ გემოვნების კავშირში 2,500-მდე კავშირის წევრი ირიცხება, ამათგან სრულიად უსწავლელი იყო 485 მუშა ხოლო 787 მუშა კი წერა-კითხვის ცოტა მცოდნე, ამიტომ წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაციის მიზნით, ზემოხსენებული კავშირის კულტ განყოფილებას, თითქმის ყველა რაიონულ კლუბებთან აქვს ექვსამდე საღამოვანო წრე და 5 სკოლა, სრულიად უსწავლელი მუშებისთვის, ამ სკოლებში მუშები იძენენ პირველ დაწყებითი ცოდნას, ემზადებიან და აქედან გადადიან მსმენელებად მუშათა ფაკულტეტის ქართულ და რუსულ განყოფილებებში, მუშფაკის ორივე განყოფილებაში იმყოფება 46 მსმენელი.

ამ სკოლებში კი ამათ ალაგს იჭერს ახალი მუშები, რომელთა რიცხვი ზემოხსენებული კავშირის სკოლებში, ამ ჟამად უდრის 74 სრულიად უსწავლელს და 139 წერა-კითხვის ცოტა მცოდნეს, ამასთან ყველა რაიონულ კლუბებთან და ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტებთან არსებობს ბიბლიოთეკა სამკითხველო, სადაც მოიპოვება თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთები და წიგნები თანამედროვე კითხვებზე, კლუბებში ლექციები სისტემატიურ ხასიათს ატარებს, აქ ისმენენ მუშები მოხსენებებს: პროფმოძრაობაზე, სოციალოგიაზე ანტი სარწმუნოებრივ და სხვა თანამედროვე საკითხებზე.

ამიტომ ის დეფექტები, რომელნიც თან ახლდა მუშაობის ამ დარგში კავშირის გამგეობის ძველ შემადგენლობას, თითქმის გადალახულია.

მუშაობის ამ დარგში არც ერთი სხვა კავშირის კულტ-მუშაობას არ ხვდება ის დიდი დაბრკოლებანი, რაც ზემოხსენებულ კავშირს იმიტომ, რომ წერილ შინა მრეწველობაში.

გაფანტულია მეტადმცირე რიცხოვანი ჯგუფები მუშების, უმეტესად კი თითო ოროლა, ეს ხელს უშლის მუშაობას, ამასთან წერილ კერძო შინა მრეწველობაში აღზრდილი მუშა მოკლებულია კლასიურ და სოციალურ შეგნება განვითარებას, ასეთები კავშირის წევრთა აბსოლიუტურ უმრავლესობას შეადგენენ, ამიტომ ამ კავშირის წევრთა შემადგენლობა, შედარებით სხვა კავშირებთან განვითარების დაბალ დონეზე სდგას, მაგრამ დაწყებითი მუშაობა თითქმის დამთავრებულია, ეხლა საკმაო კადრია მომზადებული მუშების, რომლებმაც განვლეს დაწყებითი სკოლები და განაგრძობენ მეცადინეობას მეცნიერების ტაძარში—მუშათა ფაკულტეტზე.

ეს ახალი ძალები უნდა გამოიყენოს კავშირმა კულტურულ მუშაობაში, მათი ცოდნა და მათზე დახარჯული ენერგია კავშირის მიერ, ავალებს ამ უკანასკნელთ გაორკეცებულ მუშაობას კულტურულ დარგში, ეს ვალი უნდა გადიხადონ კავშირის წევრ მუშფაკელებმა და გაამართლონ ლოზუნგი ხიბნელიდან სინათლისაკენ.

ზავი მუშა.

წერილები პროვინციიდან.

ს. ხაშმი.

ივნისის 1-ს შესდგა კრება, რომელსაც დაესწრო სოფელ ხაშმის ყოფილი მენშევიკების წევრნი, ყოფილი გვარდიელები და სოციალ-დემოკრატიის პარტიის თანაგრძობნი.

დღის წესრიგში იყო დასმული ვანო მაისურაძის მოხსენება, რომელიც შეეხო ყოფილ მენშევიკების, ყოფილ გვარდიელების და ს. დ. მ. პარტიის თანამგრძობთა საბოლოოთ ლიკვიდაციის საქმეს და რაი პარტკომში დროშის მოძღვნას. მომხსენებელმა ახსნა განმარტებით დაარწმუნა ამხანაგები, რომ ამ უკანასკნელი საშუალებით შეეძლებთ ჩვენ და ამხანაგი კომუნისტები ერთსულოვნობის და სოლიდარობის განმტკიცებას, რითაც უნდა ბოლო მოეღოს ყოველივე ეჭვიანობას, ორ ძმათა შორის შურის ძიებას, ამით უნდა დაუახლოვდეთ ერთმანეთს, ამით უნდა ჩამოვიშოროთ ორ ძმათა შორის თვალთმაქცი, ავი ელემენტები, რომელნიც სთესენ ჩვენ შორის შურის ძიებას. წინადადება იყო შემოტანილი, რომ მოხდეს მთელი გარე-კახეთის მთლიანი ყრილობა ყოფილი მენშევიკების, ყოფილი გვარდიელების და ს. დ. მ. პარტიის თანამგრძობთა, სადაც საჭიროა გამოწვეულნი იყვნენ პასუხის მგებელნი პირნი, როგორც ცეკადან, ისე ყოფილი მენშევიკების საინიციატივო ბიუროდან, სადაც უნდა გადასწყდეს სხვა და სხვა საჭირო საკითხები. ლიკვიდაციის მომწყობ კომისიაში აირჩიეს კრების თავმჯდომარე 1. სვიმონ ქოქრაშვილი, 2. დათა ხუროშვილი და 3. ვასილ დეკეიძე.

კრების თავმჯდომარე: **ს. ქოქრაშვილი.**

გარე-კახეთი.

ყოფილ მენშევიკების, ახალგაზრდა მარქსისტების, ყოფილი გვარდიელების და ს. დ. მ. პარტიის იგივე მენშევიკების თანამგრძნობნი აცხადებენ ზოგნი განმეორებით და ზოგნი, რომელნიც დღევანდლამდე რყევაში იყვნენ—დღეს ხაზგასმით უკანასკნელათ ვამბობთ და მოუწოდებთ სხვებსაც, რომ უკუ აგდონ ძველი პლატფორმა არსებული ხელის უფლების წინააღმდეგი, ვინაიდან თანდათანობით ირკვევა, რომ უმჯობესდება საქმე, როგორც პოლიტიკურათ, ისე ეკონომიურათ—ამისათვის ჩვენ მხარს უჭერთ დვიცავთ კიდეც საბჭოთა ხელისუფლებას და მის დარაჯს მმართველს პარტიას **კომინტერნის სახით** და ჩვენ გარე კახეთის ძველი რევოლიციონერი და ახალი ძალებით ვაწყობთ საერთოდ გარე-კახეთის ყოფილი მენშევიკების ყრილობას, ვცხადდებით ისტორიულ დროშით შესაფერი წარწერით, რომელიც დარჩება ჩვენ ძველ ოჯახში გარე-კახეთის რაიპარტკომში, სადაც დროშასთან ერთად ჩვენი გულიც დაეტევა—ზემოხსენებულ გ./კ. ყოფილი მენშევიკების, ყოფ. გვარდიელების და სხ. თანამგრძნობთა პროცესის მომწყობ კომისიაში შედიან ყველა სოფლის წარმომადგენელნი.

— ზემოხსენებულ კომისიებიდან დავალებული მაქვს, რომ ვსთქვა ყოფილი მენშევიკების, ყოფ. გვარდიელების და თანამგრძობთა ყრილობაზედ მოწვეულნი იქნენ, როგორც თფილისის კომიტეტიდან ბ ისე ყოფილ მენშევიკების საინიციატივო ბიუროდან პასუხის მგებელი ამხანაგები, რომ მათთან ერთად გადასწყდეს და ითქვას საბოლოვო გადამწყვეტი სიტყვა ორ სოციალისტთა ძმათა შორის ეჭვიანობის და შურისძიების აღმოსაფხვრელათ.

— აქვე უნდა ითქვას სიტყვა საქმიანი, რომელიც ბოლოს მოუღებს და ალაგმავს ორ ძმათა შორის სამარის გამთხრელ პირებს, რომელნიც არიან ზნედაცემული, თვალთმაქცი გაიძვერები **წმინდა პროვოკატორები**—კითხვა გამორკვეული არის ჩვენს წინაშე ისეთი კითხვა სდგას, რომელიც გადამწყვეტ და საბოლოვო პასუხს თხოულობს.

ტურა.

კვირიდან-კვირამდე

წარსულ კვირაში ყურადღებას იპყრობდა საბჭოთა კავშირის და ჩინეთის შორის შეთანხმება, საფრანგეთის მდგომარეობა არჩევნების შემდეგ და მოსალოდნელი პოლიტიკური ცვლილებები, აგრეთვე ინგლისის და საბჭოთა კავშირის კონფერენცია და იტალია-ოსმალეთ შორის ურთიერთობის გამწვავება.

ყველა ამ საკითხებზე ცალცალკე მოვილაპარაკოთ.

* * *

31 მაისს დილის 11 საათზე საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ორივე სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენისა და აღმოსავლეთ ჩინეთის რკინი-გზის მმართველობის შესახებ. ჩინეთის მხრივ შეთანხმებას ხელი მოაწერა საგარეო საქმეთა მინისტრმა ველინგტონ-კუმ, საბჭოთა კავშირის სახელით—კარახანმა.

შეთანხმებაზე ხელის მოწერას წინ უძღოდა მოლაპარაკება რამოდენიმე დღის განმავლობაში. დადგენილება შეთანხმების შესახებ საიდუმლოთ ინახებოდა. შეთანხმება ხელმოწერილი იქნა ველინგტონ-კუს კერძო ბინაზე. შეთანხმება საიდუმლოთ ინახებოდა იმ მიზნით, რომ ხელი შეეშალათ საფრანგეთისათვის ჩარევაში და შეთანხმების ჩაშლაში, ცნობა შეთანხმების შესახებ გამოქვეყნდა მხოლოდ შეთანხმებაზე ხელის მოწერის შემდეგ.

* * *

როსტას თანამშომელთან საუბრის დროს ამხ. კარახანმა ხაზი გაუსვა, რომ ჩინეთში ჩვენს წინააღმდეგ მუშაობდა თითქმის მთელი დიპლომატიური კორპუსი სხვადასხვა ქვეყნის, თითქმის ყველა წარმომადგენლებს ჩვენს წინააღმდეგ ერთიანი იმპერიალისტური ფრონტი ჰქონდა შექმნილი. შეთანხმებისათვის ხელის შეშლის ცდებმა კვლავ ცხადყვეს, რომ იმპერიალისტები უძლური არიან და ისინი ჯერ ვერაფერს დააკლებენ საბჭოთა კავშირს.

უკანასკნელ ხანებში უცხოეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლების ზეგავლენა ჩინეთზე შესუსტდა. უცხოეთის დიპლომატები სრულიად არ მოელოდენ, რომ საბჭოთა მთავრობა დაიწყებს მოლაპარაკებას ჩინეთთან, სანამ იაპონიასთან მოლაპარაკება არ დამთავრებულა.

მოგვიხდება ბრძოლის წარმოება შეთანხმების ცხოვრებაში გასატარებლად, ვინაიდან ჩვენი ჩინეთთან შეთანხმების მოწინააღმდეგები შეცდებიან ხელის შეშლას, თუმცა ჩინეთი ჯერ კიდევ სუსტია, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საბჭოთა კავშირთან ერთად ის შესძლებს იმპერიალისტებისათვის წინააღმდეგობის გაწევას.

* * *

ჩინეთის პრესა ეხება ხელშეკრულების დადების საკითხს და აღნიშნავს, რომ 31 მაისი ჩინეთის ადორძინების დღეთ უნდა ჩაითვალოსო.

ერთი სიტყვით, ჩინეთის საზოგადოე-

ბრივი აზრი მეტის მეტი კმაყოფილებით და სიხარულით შეხვდა ამ აქტს.

იაპონიის იმპერიალისტები კი უსაყვედურებს საბჭოთა მისიას, რომ ის საიდუმლოდ აწარმოებდა მოლაპარაკებას, რითაც შეცდომაში შეიყვანა „საზოგადოებრივი აზრიო."

ასეა თუ ისე ამ ხელშეკრულების დადებას დიდი მნიშვნელობა აქვს ორივე მხარისათვის და ეს არის ევროპის იმპერიალისტების მორიგი დამარცხება,

* * *

უკანასკნელმა საპარლამენტო არჩევნებმა ს ფრანგეთის იმპერიალისტთა საქმენი არია. პუანკარე, რასაკვირველია, გადადგა. მთავრობის შედგენა მიანდვეს ერიოს. მემარცხენეთა ბლოკი მოითხოვს მილერანის გადადგომასაც.

2 ივნისს ერრიომ მიმართა წერილით სოციალისტების ლიდერს ბლიუმს, ამ წერილში ერრიო განმარტავს თავის პროგრამას: „ჩვენ გვსურს სწერს ერრიო,— ვაიძულოთ ყველანი პატივი სცენ 8 საათის სამუშაო დღეს და პროფკავშირების უფლებებს. ჩვენ ცხოვრებაში გავატარებთ სოციალურ კანონებს, რომლებსაც „სოციალური პროგრესი" მოითხოვს. ჩვენ ვისწრაფვით „ლოიალური" თანამშრომლობისაკენ მუშათა ორგანიზაციებთან და ვაღიარებთ სახელმწიფო მოსავსახურეთა უფლებას შექმნან თავისი პროფესიონალური კავშირები. ჩვენ გვსურს ნორმალური ურთიერთობა აღვადგინოთ საბჭოთა კავშირთან, ჩვენ ვიღებთ ექსპერტების მოხსენებას ყოველგვარი უკანა აზრის გარეშე.

მაგრამ ჩვენ ვერ ვთვლით შესაძლებლათ ჯარების გამოყვანას რურის ოლქიდან, ყოველ შემთხვევაში [illegible]იმ დრომდი, სანამ გერმანია არ მოგვცემს ექსპერტების მიერ შემუშავებულ გარანტიებს."

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის კონგრესმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც დღევანდელ პირობებში უკრძალავს თავის წევრებს მონაწილეობის მიღებას მთავრობაში. მაგრამ ყრილობამ დაადგინა მხარი დაუჭიროს ერრიოს მთავრობას და დაავალა სოციალისტ. დეპუტატებს ხმა მისცენ ახალი მთავრობის ბიუჯეტს.

4 ივნისს მემარცხენე ბლოკის პარტიების კრებაზე სოციალისტ რესპუბლიკანელებმა, რადიკალებმა და რადიკალ სოციალისტებმა 307 ხმით) მოითხოვეს მილიერანის დადგომა. მემარცხენე დემოკრატები, მემარცხენე რესპუკლიკანელები და დემოკრატები (108 ხმა) მოითხოვდენ მილიერანის დატოვებას პრეზიდენტათ.

კენჭის ყრამ სენატში ამავე საკითხზე ასეთი შედეგები გამოიღო: 122 სენატორი მილიერანის გადადგომის მომხრეა, 126 მილიერანის პრეზიდენტათ დატოვებას უჭერს მხარს.

„მატენ" იუწყება, რომ მილიერანი არ გადადგება არა პირადი მოსაზრებების გამო, არამედ პრინციპისათვის, თუ მემარცხენე ბლოკის ლიდერები უარს იტყვიან ძალაუფლების მიღებაზე მისგან, მილიერანი მაინც შეადგენს კაბინეტს, რომელიც წარსდგება დეპუტატთა პალატის წინაშე. თუ ორივე პალატები დაამხობენ ამ კაბინეტს, თითეულმა სენატორმა და დეპუტატმა უნდა იკისროს პასუხისმგებლობა შედეგებისათვის, მილიერანი მხოლოდ უკანასკნელ შემთხვევაში მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

ვინაიდან საფრანგენთის კონსტიტუცია არ იძლევა საშუალებას პრეზიდენტის გადაყენებისათვის, თუ მან სახელმწიფო ღალატი არ ჩაიდინა, ამიტომ მემარცხენე ბლოკს სურს პასიური წინააღმდეგობით აიძულოს მილერანი გადადგეს.

* * *

ინგლის-საბჭოთა კავშირის კონფერენციის გარშემო ამას წინედ გაავრცელეს ჭორები, რომ ეს კონფერენცია უსათუოდ ჩაიშლებაო. ოფიციალურად გამოქვეყნდა, რომ ეს ხმები სიმართლეს მოკლებულია და არ არის საბუთი ვიფიქროთ, რომ ის ჩაიშლებაო.

* * *

საინტერესო ქვეყანაა გერმანია. წარსულ წელში ის ყოველ კვირაში „ეძებდა" მთავრობას,

წელს მაინც იპოვიდა გვეგონა ცოტა ხნით მთავრობას, მაგრამ ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა. ის კიდევ „ეძებს" მთავრობას და ჯერაც არ უპოვია.

პარტიათა შორის გაცხოველებული მოლაპარაკება სწარმოებს მთავრობის შედგენის გარშემო. ჯერ შეთანხმება არაა მიღწეული.

* * *

უკანასკნელ ხანებში, ძალიან გამწვავდა იტალია-ოსმალეთის ურთიერთობა

იტალია ჯარებს აგროვებს კუნძულ როდოსზე. ოსმალეთი ამ მობლიზაციით აღშფოთებულია. თუმცა ოსმალეთის პრესის ნაწილი აღნიშნავს, რომ ოსმალეთი დამშვიდებით უცქერის მოვლენათა განვითარებას, რადგანაც დარწმუნებულია თავის ძალიერებაშიო.

პრესის ნაწილი კი აღნიშნავს, რომ იტალია საბერძნეთის წინააღმდეგ აგროვებს ჯარებსო.

მდგომარეობა გამწვავებულია—თოფის წამლის სუნი ტრიალებს და შესაძლებელია ახალი ომი დაიწყოს.

* * *

ორ ივნისს ქ. ვენაში გაიხსნა პროფკავშირების ამსტერდამის საერთაშორისო გაერთიანების კონგრესი. დაესწრო 130 დელეგატი 21 ქვეყნიდან,

ზასოლმა მოხსენებაში ამსტერდამის ინტერნაციონალის „მოღვაწეობის" შესახებ ადასტურებს, რომ 8 საათის სამუშაო დღე, მთელ რიგ ქვეყნებში ფაქტიურად არ არსებობს. ამიტომ ინტერნაციონალმა, „რამდენადაც ამის საშუალებას იძლევიან ეკონომიური პირობები, უნდა მიიღოს ზომები 8 საათის სამუშაო დღის აღსადგენათ.

ამსტერდამის ინტერნაციონალის ფინანსიური მდგომარეობა უნუგეშოა. წევრთა რიცხვის შემცირების გამო, საწევრო გადასახადების რაოდენობა 180.000 79.000 ჰოლანდიურიგულდენამდი დავიდა.

საბჭოთა კავშირის პროფკავშირების საკითხის მოხსენებაში ზასოლმა არ შეეხო, რადგან პრეზიდიუმის დაბეჭდილ ანგარიშებში ნათქვამი იყო, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალი ფროფინტერნთან და სრულიად რუსეთის პროფკავშირების საბჭოსთან მოლაპარაკებას შეწყვეტილად სთვლის.

კამათის დროს, ბრომლეიმ ინგლისის დელეგაციის სახელით განაცხადა, რომ პრეზიდიუმის წინადადება იმის შესახებ, რომ პროფინტერნთან მოლაპარაკება შეწყვეტილათ ჩაითვალოს, მიუღებელია. ბრომლეის შემოაქვს წინადადება გაიმართოს მოლაპარაკება სრულიად რუსეთის პროფკავშირთა საბჭოსთან თანამშრომლობის დამყარების მიზნით, ვინაიდან რუსეთის პროფკავშირების განცალკევებას შეუძლია ცუდი გავლენა მოახდინოს ინგლისისა და სხვა ქვეყნების ეკონომიურ მდგომარეობაზე.

ფიმენმა, რომელსაც ყრილობა მხურვალე ოვაციებით შეეგება, ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო გაერთიანების სახელით განაცხადა, რომ უერთდება ინგლისის დელეკაციის წინადადებას, ვინაიდან მუშათა კლასის ერთობა აუცილებელი პირობაა კაპიტალისტებთან და რეაქციასთან ბრძოლის გამარჯვებით დასაგვირგვინებლად

ფიმმენი ამბობს: „ამსტერდამის ინტერნაციონალის პრეზიდუმმა უარი სთქვა ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო კავშირის საბჭოთა კავშირის ტრანსპორ-

ტის მუშათა კავშირის შორის შეთანხმების დამტკიცებაზე გავიდა წელი, მაგრამ თვით ამსტერდამის ინტერნაციონალს არაფერი გაუკეთებია ამ მხრივ მუშათა კლასის დაქსასვა გრძელდება. მუშათა კლასი დასუსტდა. რეაქცია გაძლიერდა. მრავალი პროფკავშირები მოითხოვენ საბჭოთა კავშირის პროფკავშირებთან, თანამშრომლობას. ამსტერდამის ინტერნაციონალი უნდა დაუახლოვდეს საბჭოთა კავშირის პროფკავშირებს. საჭიროა დაუყონებლივ იქნას მოწვეული კონფერენცია საბჭოთა კავშირის პროფკავშირების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

„ძეგნა"

„გერმანიაში" ეძებენ „მთავრობას."
(გაზეთებიდან)

სოციალ-დემოკრატი ე. ი. მენშევიკი ებერტი, ე. ი. გერმანეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი, ე. ი. სახელმწიფოს უმაღლესი პროვენება, ე. ი. ვილგელმის ღირსეული მემკვიდრე ძალიან პატივს სცემს დემოკრატიულ საქართველოს წარმომადგენლობას ე. ი. ემიგრაციას, რაც სჩანს იქიდან, რომ მას შეუსწავლია აქაურ მოქეიფეების სიმღერის „მრავალ-ჟამიერს ვეძებდი"-ს კილო (ალბად თბილისის ქალაქის თავმა ასწავლა) და ასე ღიღინებს:

მტკიცე მთავრობას ვეძებდი,
დაკარგულიყო, ვერ ვნახე,
როს შტრეზემანთან მივედი
ალბად შენთანა არის—შევსძახე.

ხმა შტრეზემანის მომესმა:
„რასაც ეძებდე ის ნახო.
„თუ ვერა გავსძლო მე დიდხანს
„ამისთვის არა დამძრახო."

შეუხმატკბილე შტრეზემანს:
ალბად შენა ხარ მესია.
ბიშველე გაჭირვებისას,
მტერი გარს შემომესია.

აცხონოს ღმერთმა შტრეზემან,
უფროოდ გარდაიცვალა
მაგრამ არ დავრჩი მთლად ობლად
მის მზგავსმა მარქსმა შესცვალა.

მაგრამ ეხლა კი ეს მარქსიც
არ უნდა ჩვენსა ბატონებს,
ვინ გამოვნახო არ ვიცი
და საწყალს მე ეს მაღონებს.

მტკიცე მთავრობას ვეძებდი,
დაკარგულიყო ვერ ვნახე
მე ისევ მარქსთან მივედი,
— ისევ შენა ხარ-შევსძახე.

მენგო.

უურადღება აფხაზეთს!

აფხაზეთი, არის კუთხე მრავალ ფეროვანი ბუნებით დაჯილდოებული, დასახლებული ორმოც ნაირი ნაციონალური ელემენტებით; ის წარმოადგენს მდ. ენგურის და მდ. ბზიბის შუამდებარე ტერიტორიას სამურზაყანოსთან ერთად. ეს მშვენიერი კუთხე ფეხ ქვეშ ითელებოდა მენშევიკური უაზრო პოლიტიკის წყალობით. 1918 წლის აბხაზეთის აჯანყება დამხობილ იქნა სხვა და სხვა რაზმების თარეშით: მოიგონეთ აფიცერ დუნდუას საქციელი სამურზაყანოში, მისი უთავბოლო თარეში სამურზაყანოს მშრომელ ხალხში. **გაიხსენეთ თვით აბხაზებ ს სიძულვილი ქართველებისადმი, რომლის სახელის გაგონებაზე („აქორთ", აბხაზური სახელწოდებაა ქართველ ს) ცქვიტ ა აბხაზის გულში ბრაზი და სიძულვილი იყრის თავს და მზად არის ეს "ქორთუ" საჩქაროთ მოიშოროს თავიდან.**

რამ წარმოშვა და დაბადა ყველაფერი ეს? რასაკვირველია თვით სოციალ-დემოკრატიული პარტიის ნაციონალურმა პოლიტიკამ, რომელსაც თავიდან უსწოროთ ვატარებდით.

აბხაზეთის სოციალ-დემოკრატიამ კარგათ იცის ყველაფერი ეს. ის იყო აბხაზეთის ცხოვრების უშუალო მესაჭე. ის იყო აბხაზეთის ეროვნული საბჭოს აბსოლიუტური ხელმძღვანელი, **მაგრამ აბხაზეთის საკითხში აბხაზეთის სოციალ-დემოკრატია არარას წარმოადგენდა. საქართველოს მენშევიკური ცეკა სრულიად ყურს არ უგდებდა აბხაზეთის საქმეებს სწყვეტდა ისე, როგორც ეს თვით აბხაზ. სოც. დემოკრატებს არ სურდათ.**

მაგალითი: როდესაც აბხაზეთის სახალხო საბჭომ შეიმუშავა პროექტი აბხაზეთის კონსტიტუციისა და სათანადო დელეგაცია იქნა გაგზავნილი ქ. თბილისში ნ. ჟორდანიას მთავრობასთან, აბხაზეთის კონსტიტუციის დასამტკიცებლად და სათანადო მუხლის შესატანად საერთო საქართველოს კონსტიტუციაში, (დელეგაცია იყო ს-ც. **დემ. ვ. შერვაშიძის მეთაურობით, მაშინდელ აბხაზეთის სახალხო საბჭოს თავმჯდომარე. საქართველოს მთავრობამ ეს კონსტიტუცია არ მიიღო, და საჩქაროთ უკან გააბრუნა დელეგაცია.**

ეს იყო პირველი სილა, რომელიც გაარტყა აბხაზეთს **საქართველოს მთავრობამ.**

ეს იყო შელახვა ისედაც შელახული **აბხაზეთის** უფლებების. აბხაზ ამხანაგებს კარგათ ახსოვთ ეს. ასეთი იყო **ჰოლიტიკა** აბხაზეთის მიმართ იმ პარტიის, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ აშკარათ გადავიდა ამ **ხელისუფლების** წინააღმდეგ და უკანასკნელ დღემდე ებრძოდა **მას.** ებრძოდა **ჩოლოყაშვილის** ბანდიტებთან, გზა-აბნეულ ორიოდე ავანტიურისტებთან და სასულიერო პირებთან ერთად. აბხაზეთის სოციალ-დემოკრატები გვერდს უხვევდენ ამ შემთხვევაში ქართველ მენშევიკებს. ვინ იცის რამდენი ამხანაგი ტყუილ-უბრალოდ შეეწირა ამ საქმეს. რამდენ დაიკარგა და რამდენი სამუდამოდ მოშორდა ბრძოლას. საქართველოს მენშევიკური პოლიტიკის უკუღმართობა აშკარათ სჩანს დღეს. **ერთმანეთთან დაპირდაპირებული მენშევიკური საქმიანობა და კომუნისტური აღმშენებლობა, ურწმუნო** თომებსაც კი **არწმუნებს, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო დანგრეული ქვეყნის აღორძინება.** მოისპო აბხაზეთის ხალხში ერთმანეთში მტრობა, შური, ნაციონალისტური ზიზღი, რომელიც აშორებდა აბხაზს და ქართველს. აბხაზები ისეთივე ბატონია დღეს თავის ქვეყანაში, როგორც ქართველი, რუსი და სხვა.

მოისპო ომები, მოისპო მისისინება ერთმანეთზე, მოისპო ბანდიტიზმი, განადგურდა ჩვენი სისხლის მსმელი თავადაზნაურობა.

მთელი ქვეყნის დოვლათს დაეპატრონა მუშათა და გლეხთა კავშირი!

აღორძინების გზაზე შესდგა მთელი ქვეყანა: **შენდება** ძველი მთარობებისაგან დანგრეული ხიდები, გზები, **კეთდება ელექტროფიკაცია, გავრცელდა სწავლა განათლება,** მრავალი მუშა და გლეხი ღებულობს უმაღლეს სწავლა-განათლებას, დამყარდა მშვიდობიანი ცხოვრება. **მთელი ნაშრომი მშრომელს ეკუთვნის.** ყველაფერ ამას ზედ ერთვის ფულის რეფორმა, რომელმაც გააუმჯობესა ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა. **მშრომელია** დღეს შემომქმედი ყველაფერის, ის **გამოდის მთესველათ დიდ იდეების, სოციალისტური რევოლიუციის, კომუნისტური წყობილების.**

და აი დღეს ასეთ პირობებში ჩვენ მუშა სოციალ-დემოკრატები და გლეხები გამოვდივართ ამ ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს გასაკვირია!

რა უნდა გვქონდეს ჩვენ საერთო, მუშა—გლეხ სოც. დემოკრატს, პუან-

კარესა და მის ამყოლ ბურჟუაზიასთან!?..

არაფერი. დღემდი ჩვენ ვღალატობდით შეუგნებლობით ჩვენს თავს, მუშებსა **და** გლეხებს!..

ამაში უნდა დავრწმუნდეთ სანამ გვიან არ არის!

ჩვენ ერთხელ და სამუდამოთ უნდა გავსცდეთ **კონტრრევოლიუციას** და გვერდში ამოუდგეთ **რევოლიუციას**. ჩვენ არ უნდა გადაუხვიოთ **მარქსიზმის** სწორ გზას და ურყევათ ვიაროთ ლენინის მიერ ნაჩვენებ მარქსისტულ გზით.

ერთიანი ფრონტი საერთაშორისო ფაშიზმის წინააღმდეგ, რომელიც თანდა თან ფრთებს შლის და ფიქრობს მუშათა კავშირის დანგრევას!

25 აგვისტოს საქართველოს ყოფ. მენშევიკთა ყრილობამ ამას ალლო აუღო მან დაგმო ძველი გზა, გზა მუშათა კლასის ღალატისა და აშკარათ დადგა მე-III კომინტერნის დროშის ქვეშ, იბრუნა პირი მე-II ყვითელი ინტერნაციონალისაგან, რომლის უმოქმედობა და ბურჟუაზიასთან მაჩანჩალობა დღეს ყველასათვის ცხადია. **25** აგვისტოს რეზოლიუცია გამოდგა სწორი და მართმლი. ეს გზა უფრო გაამაგრა და გაამტკიცა ჩვენმა ბელადმა, ცეკას **ყოფილმა თავმჯდომარემ სეით დევდარიანმა**, საქართველოს ყველა კუთხის სოც. დემ. ორგანიზაციებმა სთქვა თავისი სიტყვა. ისინი მიეშბრენ ოქტომბრის რევოლიუციას **უყოყმანოთ.**

აბხაზეთის სოციალ - დემოკრატიას, ჯერ არ უთქვამს თავისი სიტყვა. ეს ალბათ აიხსნება აბხაზეთის საერთო ჩამორჩენილობით მე უკანასკნელ ხანებში ჟურნალ „სიმართლის ხმაში“ წავიკითხე სამურზაყანოელიშვილი სოციალ-დემოკრატის განცხადება, რომელნიც დგებიან რა მე-III კომინტერნის გზაზე, გმობენ რა მენშევიკურ საქმიანობას, მოითხოვენ ყოფ. მენშევიკთა **კონფერენციების** გამართვას მთელს **აბხაზეთში** და ორგანიზაციების ლიკვიდაციას. ეს მეტად სასიამოვნო ამბავია.

მე ეჭვი არ მეპარება ამ ამხანაგების გულწრფელობაში, მით უმეტეს **ამ ამხანაგები ჩეხერია** და **ტორუასი, რომელთან მჭიდრო** კავშირი **მაერთებდა რამოდენიმე** წლის **განმავლობაში, რომ. გორც პარტიულ ამხანაგებთან მათი განცხადება** მეტად **საყურადღებოა.**

აბხაზეთის სოციალ დემოკრატია, როგორც ერთი კაცი იტყვის თავის უკანასკნელ სიტყვას და ის გვერდში ამოუდგება **25** აგვისტოს!.. ის გაამაგრებს ჩვენს რიგებს!..

სრულიად **საქართველოს** ცენტრალურმა საინიციატივო ბიუროომ ამას სერიოზული **ყურადღება** უნდა მიაქციოს.

რასაკვირველია აქედან ამხანაგების დახმარებით შესძლებს მხოლოდ აბხაზეთის სოციალ-დემოკრატია ახალი გზის გაკაფვას.

ვაშა გამოფხიზლებულ აბხაზ ამხანაგებს!

ვაშა მათ მედგარ სიტყვას!..

გაუმარჯოს ერთიან ფრონტს!..

მოსალი.

ქრონიკა.

◆ **წარმოების** სხვა და სხვა დარგში ყოფილ მენშევიკ მუშებს გამოაქვთ რეზოლიუციები ნ. ჟორდანიას წერილის საპასუხოდ.

◆ **გრძელდება** მენშევიკების მიერ პარტიის დატოვება და საბჭოთა პლატფორმაზე გადასვლა.

◆ **დამთავრდა** რუსეთის კომუნისტური **პარტიის** მეცამეტე ყრილობა.

◆ **ცენტრალურ** კომიტეტის გენერალურ მდივნად არჩეულია ამხ. სტალინი.

◆ **ცენტრალურ** საკანტროლო კომისიის თავმჯდომარედ ამხ. კუიბიშევი.

◆ **საქართველოს** სხვა და სხვა კუთხიდან მოდის ცნობები დიდი გვალვების შესახებ.

◆ **4 ივნისს** ქ. თფილისში გაიხსნა თფილისის **მაზრის** გლეხ-კომეების თათბირი.

◆ **გამომუშავებულია** წესები მუშამოსამსახურეთა ერთი ადგილიდან მეორეში გადაყვან-გადმოყვანის შესახებ.

◆ **2ივნისს** ავჭალის წყალსადენის თანამშრომელის **რამიშვილის** ცოლმა ერთად დაბადა ოთხი ბავშვი: 3 ვაჟი და ერთი ქალი.

სხვა და სხვა

◆ **ჩინეთმა და საბჭოთა** კავშირმა ხელი მოაწერეს ურთიერთ შეთანხმებაზე ნორმალური დამოკიდებულების აღდგენის მიზნით.

◆ **მოლაპარაკება** ამ ორ სახელმწიფოს შორის ხდებოდა საიდუმლოთ, რომ არ ჩარეულიყვნენ საფრანგეთის იმპერიალისტები წინანდელივით.

◆ **იაპონიის** პრესა მოითხოვს საბჭოთა **კავშირის** დაუყონებლივ ცნობას.

◆ **ამბ. რაკოვსკი** და ინგლისის ვაჭრობის მინისტრი **არჩეულნი** არიან საბჭოთა კავშირის და ინგლისის **სავაჭრო** პალატის თავმჯდომარეებად.

◆ **მოელოდნენ** ინგლისის „მუშათა მთავრობის“ გადადგომას. მაკდონალდმა განაცხადა არ გადავდგებით.

◆ **ირაკში** დაიწყო აჯანყება ინგლისელების წინააღმდეგ.

◆ **სირიაში კი** აჯანყებაა საფრანგეთის წინააღმდეგ.

◆ **ალბანეთშიაც** არის აჯანყება იტალიის წინააღმდეგ.

◆ **იტალია-ოსმალეთის** დამოკიდებულება გამწვავდა. თოფ-წამალის სუნი ტრიალებს.

◆ **იტალია** ჯარებს ამზადებს ოსმალეთის წინააღმდეგ. იტალის ჯარი გროვდება კუნძულ როდოსზე.

◆ **ოსმალეთის** პრესა აღშფოთებულია იტალიის მიერ ჯარების მობილიზაციის გამოცხადებით.

◆ **პუანკარე** და მისი კაბინეტი გადადგა.

◆ **მთავრობის** შედგენა საფრანგეთში მიანდვეს ერიოს.

◆ **ერიომ** განაცხადა, რომ ის აღადგენს ნორმალურ ურთიერთობას **საბჭოთა** კავშირთან.

◆ **მემარცხენეთა** ბლოკი საფრანგეთში ენერგიულად მოითხოვს **პრეზიდენტ** მილერანის გადადგომას, მილერანს **არ** სურს გადადგომა.

◆ **რუმინეთში** სამრეწველო **კრიზისი** საშიშ ფორმას იღებს.

◆ **იქვე** დაიწყო გლეხთა მღელვარება, მოითხოვენ მიწის საკითხის **მოწესრიგებას.**

◆ **ბუქარესტში** აფეთქდა **40** მილიონი ყუმბარა.

◆ **საფრანგეთის** ეროვნულმა **საბჭომ** მიიღო ცეკას თეზისები. **საბჭომ** მიესალმა რუსეთის და **გერმანიის** **კომპარტიებს.**

◆ **საფრანგეთის** **გაზეთებმა** **გამოაქვეყნეს** მომავალი **მთავრობის** **წევრთა** **არაოფიციალური** სია.

◆ **ერიომ** **წარმოსთქვა** **საპროგრამო** სიტყვა.

◆ **მას** შეუძლებლად **მიაჩნია** **რურის** **დაცლა.**

◆ **სოციალისტები** საფრანგეთისა **მხარს** **უჭერენ** ერიოს **ახალ** **მთავრობას.**

◆ **ამსტერდამის** ყვითელი **პროფკავშირების** **კონგრესი** **განაგრძობს** **მუშაობას.**

◆ **კონგრესმა** **მოისმინა** **პრეზიდიუმის** **მოხსენება.** ინგლისის **დელეგაციამ** **გაილაშქრა** **პრეზიდიუმის** **წინააღმდეგ.**

◆ **დიდი** **ნაწილი** **კონგრესისა** **მოით-**

ხოვს პროფინტერნაციონალთან შეთანხმებით მუშაობას.

◆ **გერმანიაში** გრძელდება მთავრობის კრიზისი. „ეძებენ“ მთავრობას, მაგრამ ჯერ ვერ „იპოვეს“.

◆ **ამერიკაში** დაარსდა საბჭოთა კავშირთან სავაჭრო საზოგადოება.

◆ **პოლონეთში** დაიწყო კრაკოვის აჯანყების მონაწილეთა გასამართლება. მოსამართლეებად არიან: ფაბრიკანტები, შემამულეები და მღვდლები.

◆ **ალბანეთის** მთავრობა გადადგა. მოელიან რუმინეთის მთავრობის გადადგომასაც.

◆ **იაპონია** და ამერიკის შორის უთანხმოება არ ჩამქრალა. იაპონიამ საპროტესტო ნოტა გაუგზავნა ამერიკას იმიგრაციის შემზღუდველი კანონის გამოცემის გამო.

◆ **დეპეშებმა** გვამცნეს, რომ ჩინეთის გაზეთები საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულების მოწერის დღეს სთვლიან ჩინეთის აღორძინების დღეთო.

◆ **უკრაინაში** დასრულდა ბონების გამოსყიდვა. ფულის რეფორმა სასურველად მიმდინარეობს.

◆ **იქვე** დაიწყო იმ ინჟინრების გასამართლება, რომელნიც ეწეოდენ ეკონომიურ კონტრ-რევოლიუციას: ცნობებს აწვდიდნენ წარმოებათა წინანდელ მეპატრონეებს.

◆ **გადადგა** რუმინეთის მთავრობის თავჯდომარე ბრატიანუ.

◆ **ბერლინის** გაზეთების ცნობით, საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობამ ბერლინში გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა, რომელშიაც უარყოფილია გერმანიის პრესის განცხადება იმის შესახებ, თითქოს სავაჭრო წარმომადგენლობაში ჩხრეკის დროს აღმოჩენილ იქნა სახელის გამტეხი მასალები, ცნობაში ხაზგასმულია ის, რომ ყველა ეს ცნობები განძრახ არის შეთხზული.

◆ **უკანასკნელი** ცნობებით გერმანიაში მთავრობის კრიზისი დამთავრებულა. ხელისუფლებას დაუბრუნდა ისევ მარქსის მთავრობა მთელი თავისი შემადგენლობით.

◆ **საფრანგეთის** სოციალისტები წინააღმდეგნი არიან რურის დაცლის.

◆ **მარქსის** კაბინეტი 6 ივნისს წარუდგა რეიხსტაგს. კანცლერის სიტყვა უმთავრესად შეეხებოდა ექსპერტების მოხსენებებს, მარქსი მოითხოვდა ეკონომიური, ფინანსიური და ადმინისტრატიული მთლიანობის აღდგენას.

მან განაცხადა, რომ ერთად ერთი გამოსავალია ექსპერტების გეგმის მიღებაო.

◆ **სოც. დემოკრატებმა** და სახალხო პარტიამ მოიწონეს მარქსის პროგრამა. მათ მიიღეს ექსპერტების გეგმა.

– **გერმანიის** რეიხსტაგში, ვიდრე დაიწყებოდა კამათი კომუნისტების შეკითხვის გამო დაპატიმრებულ კომუნისტ დეპუტატების განთავისუფლების შესახებ, ქვეყნდება კომუნისტ დეპუტატის რეგმელეს წერილობითი პროტესტი სხდომიდან მისი გამორიცხვის წინააღმდეგ, რომელეს განცხადებას ხმას აძლევენ მხოლოდ კომუნისტები.

კომუნისტი დეპუტატი შოლეი პროტესტს აცხადებს რეიხსტაგში პოლიციის ყოფნის წინააღმდეგ.

კომუნისტი დეპუტატი კელენი ბრალს სდებს სოციალ-დემოკრატებს პროვოკატორებთან ერთად კომპარტიის წინააღმდეგ გამოსვლაში და შემდეგ სასტიკ პროტესტს აცხადებს პოლიციის ცნობების წინააღმდეგ, თითქოს შტუგჰარდტში მუშაობდეს კომუნისტური „ჩეკა“. კელენი აცხადებს, რომ კომპარტია ჰკიცხავს ინდივიდუალურ ტერორს და მოუწოდებს პროლეტარიატს მხოლოდ მასიურ მოქმედებისაკენ.

ლევი ამჟღავნებს ლიუდენდორფის საქციელს და ამასთან ერთად აღნიშნავს, რომ კომუნისტების მიმართ გერმანიის ხელისუფლება არ იცავს ნორმალურ კანონმდებლობასო.

კომუნისტი დეპუტატი გელმანი აღნიშნავს, რომ მთავრობა ამზადებს სენსაციურ პროცესს კომპარტიის წინააღმდეგ, რასაც შესაძლებელია შედეგად მოჰყვეს მისი აკრძალვა. გელმანი აცხადებს: ჩვენ მტკიცედ ვდგევართ ჩვენი პროგრამის დასაცავად და აღუთქვამთ მუშებს, რომ ერთი ნაბიჯითაც უკან არ დავიხევთ, პროლეტარიატი უნდა გადავიდეს თავდაცვიდან თავდასხმაზე, მაშინ ის იებნება უბრალო მაყურებელი იმის, თუ როგორ იარაღდება მისი მტერი. იარაღი მუშათა კლასის ხელში ნიშნავს მის გამარჯვებას“

წერილი რედაქციის მიმართ.

ამხანაგო რედაქტორო!

გთხოვთ გამოაცხადოთ თქვენს პატივცემულს ორგანოში შემდეგი: 1901—1908 წლამდის ვირიცხებოდი რ. ს. დ. მ. პარტიის ტფილისის ორგანიზაციის წევრად და შეძლების დაგვარად ვიღებდი მონაწილეობას რევოლიუციონურ მუშაობაში, როგორც ტფილისში, აგრეთვე ალმოსავლეთ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში.

1908 წლიდან რუსეთში წასვლის და უნივერსიტეტში შესვლის შემდეგ ფაქტიურად შევწყვიტე რევოლიუციონურ.-პოლიტიკური მუშაობა, თუმცა არ ვკარგავდი დამოკიდებულებას პარტიულ ამხანაგებთან, მეტადრე იმ პირებთან, ვისაც წილად ხვდა ნარიმის მხარეს გადასახლება.

აქამდის ოფიციალურად არსად განმიცხადებია, რომ პარტიიდან გამოსულად ვრაცხ თავს. საქართველოს მენშევიკურ პირტიასთან არავითარი დამოკიდებულება არ მქონია და არცა მაქვს, ვინაიდან უკანასკნელი ჩაისახა იმ დროს, როდესაც მე ისევ რუსეთში ვცხოვრობდი და ვიყავ მოკლებული ყოველ საშუალებას რაიმე კავშირი მქონოდა საქართველოსთან.

გარდა ამისა, რუსეთში ყოფნის დროს, 1921 წლის მაისის დამლევამდის ვმსახურებდი საბჭოთა სხვა და სხვა დაწესებულებებში, მქონდა და მაქვს ლოიალური განწყობილება არსებულ ხელისუფლებასთან, ვიღებდი მონაწილეობას საბჭოთა აღმშენებლობით მუშაობაში და ასეთივე სურვილი მაქვს ეხლაც.

ვ. ბაკურაძე.

სარედაქციო კოლეგია:
ნ. ჩლაიძე.
ა. ფარნიევი.
ა. რუხაძე.
კ. თოფაძე.
გ. ვარდიანი.

ს. ფ. უ. ს. პოლ. განყოფ. 3-მე სტამბა შეკვ. № 1104 ნებადართულია ლიტ.და გამ. მთავ. მართ. მიერ № 1461 ტირაჟი 1400.